www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 14 ივნისი, 2012 წელი. | №3038 (131) | ფასი 50 თეთრი

დასაქმების ახალი მაჩვენებლები

უმუშევრობა 1,2 პროცენტული პუნქტით შემცირდა

ნინო ნარჩემაშვილი

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად ეკონომისტები სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემს განიხილავენ. გარდა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დონისა, ერთ-ერთი სტატისტიკური მონაცემი, რაც ეკონომისტთა და, ასევე, საზოგადოების ყურადღებას იქცევს, ქვეყანაში უმუშევრობის, მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებელია.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

სირია ლიბიის კვალდაკვალ?

ხათუნა გაბიევი

კლინტონი რუსეთს სირიის შეიარაღებაში ადანაშაულებს

არაერთი მოწოდების, კრიტიკისა თუ მუქარის მიუხედავად, სირიაში ვითარების რეგულირებას პირი არ უჩანს. ზღვარგადასული ძალადობისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მისამართით გამოვლენილი სისასტიკის ფონზე უკვე აქტიურად დაიწყო სამხედრო ინტერვენციის საჭიროებაზე საუბარი. ძალის გამოყენების ნებართვისთვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ოფიციალურმა პარიზმა უკვე მიმართა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლორან ფაბიუს განცხადებით, სირიაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის საგანგებო წარმომადგენლის კოფი ანანის მიერ შემუშავებული გეგმის განსახორციელებლად აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების მეშვიდე მუხლის ამოქმედება.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

შემცირებული ნარკომომხმარებელი და ნარკოტიკების ბრუნვა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკურმა დეპარტამენტმა ნარკოდანაშაულთან ბრძოლის შედეგები გამოაქვეყნა, რითაც დგინდება, რომ საქართველოში ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა და შესაბამისად, ნარკოტიკული ნივთიერებების ბრუნვა მნიშვნელოვნად შემცირდა.

შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის მონაცემებით, 2011 წელს საქართველოში აღირიცხა 16 857 ნარკომომხმარებელი. შსს-ს განცხადებით, გასულ წელს ნარკომომხმარებელთა რაოდენობა 2010 წელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა - ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი 3054 პირით ნაკლები იყო.

შსს-ს მონაცემებით, 16 ათას 857 ადამიანიდან, მხოლოდ ფსიქოტროპულ საშუალებებს, კონკრეტულად, ბენზოდიაზეპინებს მოიხმარდა 1043 პირი. 7798 მომხმარებელს კი დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი.

2011 წელს წინა წელთან შედარებით ლაბორატორიულად ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ფაქტი დაუდგინდა 3054 პირით ნაკლებს. მხოლოდ ფსიქოტროპული - არა ნარკოტიკული საშუალებების, მოხმარება დაუდგინდა 1775 პირით ნაკლებს და გასულ წელთან შედარებით დაფიქსირდა 2057-ით ნაკლები მომხმარებელი, რომლებსაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით დაეკისრათ ჯარიმა. საერთო ჯამში კი, 2011 წელს ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა საშუალო რაოდენობამ გასულ წელთან შედარებით, 10 ათას მოსახლეზე იკლო 6,83 პროცენტით.

შსს-ს მონაცემებით, საქართველოში, 10 ათას მოსახლეზე საშუალოდ 17,93 ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელია.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ელექტრონულად დამუხტული ჯაზფესტივალი

DJ TABOO-ს კონცერტი ბათუმში 20 ივლისს გაიმართება

ია ვეკუა

ერთი თვესა და რამდენიმე დღეში მუსიკის, კონკრეტულად კი ჯაზის მოყვარულების მთელი ყურადღება ბათუმისკენ გადაინაცვლებს, სადაც თითქმის ერთი კვირის განმავლობაში შავი ზღვის ჯაზფესტივალი ჩატარდება. როგორც ყოველთვის, "ისტერნ პრომოუშენმა" ამჯერადაც ძალიან საინტერესო პროგრამა მოამზადა, რომელიც არა მხოლოდ კლასიკური ჯაზის მოყვარულებისთვის იქნება საინტერესო, არამედ ელექტრონული მუსიკის თაყვანისმცემელსაც დაინტერესებს. ამის გარანტიას კი თუნდაც ის ფაქტი გვაძლევს, რომ 20 ივლისს ბათუმის ჩოგბურთის კორტებზე გამართულ სცენაზე DJ set by TABOO-ს კონცერტი გველის.

ამ ჟანრის მუსიკის მსმენელისთვის დიჯეი ტაბუს სახელი გაცილებით მეტს ამბობს, მაგალითად, იმას, რომ ის თანამედროვე პოპსცენის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ჯგუფის, Black Eyed Peas-ის წევრია. თუ ამ მუსიკოსის სოლო (ასე ვთქვათ, დიჯეურ) შემოქმედებას იცნობთ, მაშინ ისიც იოლად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ თუ რა გველის წინ - ეს ჯაზფესტივალის უდავოდ ყველაზე ხმაურიანი და დამუხტული კონცერტი იქნება, რომლისთვის მზადებაც ნამდვილად ღირს.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6340⇓
1 ევრო	2.0441⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5383⇓
1 თურქული ლირა	0.8933⇓
100 რუსული რუბლი	5.0144⇓

თბილისი	32°C - 21°C
ქუთაისი	39°C - 24°C
თელავი	34°C - 19°C
ზუგდიდი	39°C - 23°C
ბათუმი	33°C - 23°C

ნავთობი	2.64	+0.01	+0.52%
გაზი	2.19	-0.04	-1.73%
ოქრო	1,611.90	-1.90	-0.12%
ხორბალი	621.50	+5.50	+0.88%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121

რუს ხულიგნებს პოლონეთიდან დეპორტაცია და შავი სია ემუქრებათ

გიგა გურასაშვილი

პოლონეთ-რუსეთის მატჩამდე ვარშავის ქუჩებში დაწყებულ არეულობაში მონაწილე რუს გულშემატკივრებს ქვეყნიდან სასწრაფო დეპორტაცია ემუქრებათ. ფეხბურთის ფანებმა ჩხუბი მაშინ ატეხეს, როდესაც რუსებმა ვარშავის სტადიონისკენ მიმავალ გზაზე მსვლელობა მოაწყვეს.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინბაზობს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

მიხეილ სააკაშვილსა და იმონ გილმორს შორის სამუშაო ლანჩი გაიმართა

საქართველოს პრეზიდენტსა და ირლანდიის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრს, ვიცე-პრემიერ იმონ გილმორს შორის გუშინ ბათუმში სამუშაო ლანჩი გაიმართა. როგორც პრეზიდენტის "ფეისბუქის" ოფიციალურ გვერდზეა ნათქვამი, მხარეებმა განიხილეს ორმხრივი ურთიერთობების პოლიტიკური და ეკონომიკური სპექტრი და გამოთქვეს სურვილი, ამ მიმართულებით კიდევ უფრო გაღრმავდეს თანამშრომლობა. შეხვედრაზე რეგიონული უსაფრთხოების საკითხსაც შეეხნენ და კონფლიქტურ ზონებში არსებულ სიტუაციაზე იმსჯელეს.

ემონ გილმორმა, როგორც ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყნის წარმომადგენელმა, ასევე ისაუბრა საქართველოში ეუთო-ს მისიის აღდგენის შესაძლებლობაზე.

ირლანდიელი ვიცე-პრემიერი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრსაც შეხვდა. "ეუთო "კავკაზ 2012"-ის საკითხს დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს," - განაცხადა იმონ გილმორმა გრიგოლ ვაშაძესთან შეხვედრაზე.

ვაშაძის თქმით, საქართველოში ეუთო-ს გააქტიურებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. "აუცილებელია ეუთო-ს მისიის სრულმასშტაბიანი აღდგენა და ეუთო-ს მონაწილეობა საქართველოში მიმდინარე პროცესებში. მე არ მაქვს საუბარი მხოლოდ პოლიტიკურ პროცესებზე, საუბარია იმაზე, რასაც მისია თავის დროზე აკეთებდა - ეს არის ეკონომიკაც, პოლიტიკური რეფორმებიც, დემოკრატიაც, კულტურაც და ა.შ." - დასძინა გრიგოლ ვაშაძემ.

იმონ გილმორის განცხადებით კი, ეუთო-ს საქართველოში თავისი მისიის ოფისის გახსნა სურს.

პროფესიული განათლების დაფინანსების მეორე ეტაპი დაიწყო

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პროფესიული განათლების მსურველთათვის 1000-ლარიანი ვაუჩერების გაცემის მეორე ეტაპი დაიწყო. მინისტრი დიმიტრი შაშკინი თბილისის საინფორმაციო ცენტრს ეწვია და პროფესიული განათლების მიღების მსურველებს ვაუჩერი თავად გადასცა.

1000-ლარიანი ვაუჩერების გაცემის მეორე ეტაპზე სამინისტრო ყველა მსურველს დააფინანსებს. მათ შორის, სოციალურად დაუცველ სტუდენტებს, მიმდინარე წლის ცხრაკლასდამთავრებულებს და იმ მეთორმეტეკლასელებს, რომელთაც სკოლის დამთავრების შემდეგ პროფესიული განათლების დაუფლება გადაწყვიტეს. მესამე ეტაპზე, რომელიც შემოდგომაზე გამოცხადდება, ვაუჩერს კიდევ 2500 მსურველი მიიღებს. ამჟამად დაფინანსებულია 2500 სტუდენტი, მათ შორის - 1700 სოციალურად დაუცველი. ეს სტუდენტები, სამინისტროს ცნობით, პროფესიას თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ სხვადასხვა კოლეჯებში ეუფლებიან.

პროფესიული განათლების ვაუჩერული დაფინანსების პროექტი 2012 წელს საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით ამოქმედდა.

"ლეიბორისტები" საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს საქართველოზე ტრანშების გაცემის შეჩერებისკენ მოუწოდებენ

"ლეიბორისტული პარტია" საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს საქართველოზე ფინანსური ტრანშების გაცემის შეჩერებისკენ მოუწოდებს.

როგორც პარტიაში აცხადებენ, ამის მიზეზი ისაა, რომ ქართული კომერციული ბანკები მოსახლეობისა და საშუალო ბიზნესს აკოტრებენ.

მათი თქმით, სესხებსა და კრედიტებზე დაწესებული არარეალურად მაღალი საპროცენტო განაკვეთის შედეგად 300 ათასი მოქალაქე შეყვანილია ბანკების ე. წ. შავ სიაში, 70 ათასამდე მოქალაქის ქონება დაყადაღებულია ჩამოსართმევად, ხოლო 20 ათასი ოჯახი უკვე გამოსახლებულია.

"ამ ცოდვიანი ფულით სააკაშვილი და მისი ოლიგარქიული ბანდა აყალბებს არჩევნებს და იწყობს პირად სამოთხისებურ კეთილდღეობას. მივმართავთ მსოფლიო ბანკს, სავალუტო ფონდსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს, რომლებიც წარმოადგენენ ამ ხელისუფლების მთავარ ფინანსურ დონორს, შეაჩერონ ფინანსური ტრანშების გაცემა, ვიდრე ქვეყანაში არ გამოცხადდება ფინანსური ამნისტია და არ შეწყდება მოსახლეობისათვის ქონების ჩამორთმევა-დაყაჩაღება," - აცხადებენ პარტიაში.

არჩევნები რუსეთის დამკვირვებლების გარეშე ჩატარდება

საარჩევნო კოდექსში საერთაშორისო დამკვირვებელთა შერჩევის ახალი კრიტერიუმების ჩამოყალიბება იგეგმება. მომავალ კვირას პარლამენტი საარჩევნო კოდექსში ცვლილებების პროექტს მე-2 მოსმენით განიხილავს. კანონპროექტის თანახმად, იმისთვის, რომ სახელმწიფომ ან ორგანიზაციამ საქართველოში დამკვირვებლების გამოგზავნის უფლება მიიღოს, ის საქართველოს კანონმდებლობის, სუვერენიტეტისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების პატივისცემას უნდა გამოხატავდეს. ამასთან, მათ საარჩევნო პროცესის ხელშეშლისგან თავის შეკავება მოეთხოვებათ. გარდა ამისა, მისიებს ფინანსური დამოუკიდებლობა და დაფინანსების წყაროების გამჭვირვალობა უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეთ. კრიტერიუმებს შორის ასევე მითითებულია პოლიტიკური მიუკერძოებლობა და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა. კანონპროექტის მიხედვით, სადამკვირვებლო მისიები ვალდებულნი არიან, საერთაშორისო საარჩევნო დაკვირვების ძირითადი პრინციპები და დეკლარაციით აღიარებული დებულებები დაიცვან.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე კუბლაშვილმა "24 საათს" განუცხადა, რომ პროექტში მოცემულია მინიმალური კრიტერიუმები, რომლებსაც ნებისმიერი სადამკვირვებლო მისია დააკმაყოფილებს. კუბლაშვილი პროექტის შემუშავების მოტივის შესახებაც საუბრობს. მისი თქმით, შესაძლოა, რუსეთს საქართველოში დამკვირვებლების გამოგზავნის და ვითარების არევის სურვილი გასჩენოდა. **"თუ სახელმწიფო საქართველოს სუვერენიტეტს და კანონმდებლობას არ აღიარებს ან, მით უმეტეს, ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები, საარჩევნო პროცესში მისი მონაწილეობის მოტივაცია გასაგებია,"** - აღნიშნავს პავლე კუბლაშვილი.

საარჩევნო კოდექსში ტექნიკური ცვლილებაც შედის. პავლე კუბლაშვილის თქმით, კოდექსის მოქმედი ნორმა ისე იკითხება, თითქოს, ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას მთელი ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ ორი დამკვირვებელი შეიძლება ჰყავდეს. **"პრინციპს ვაზუსტებთ. ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას უფლება ექნება, თითო საარჩევნო უბანზე ერთდროულად არაუმეტეს 2 დამკვირვებლი ჰყავდეს. აქამდეც არასდროს არც ერთ დამკვირვებელს - მით უმეტეს, საერთაშორისო დამკვირვებელს, პრობლემა არ შექმნია,"** - ამბობს პავლე კუბლაშვილი.

საარჩევნო კოდექსში სხვა ცვლილებების შეტანაც იგეგმება. მისი დამტკიცების შემდეგ, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მოადგილის კანდიდატურის წარდგენის უფლება კომისიის არანაკლებ 2 წევრს ექნება. მათი არჩევის წესი კი შენარჩუნდება, რომლის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისია თავმჯდომარესა და მოადგილეს სრული შემადგენლობის უმრავლესობით და სახელობითი კენჭისყრით კომისიის წევრთაგან პირველივე სხდომაზე ირჩევს.

საკუთარი ინფორმაცია

ბიძინა ივანიშვილი ჯარიმის გადახდას არ აპირებს

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერი ბიძინა ივანიშვილი კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების საფუძველზე სოლიდური თანხით დაჯარიმდა, სააპელაციო წესით უკვე გასაჩივრებულია. ბიძინა ივანიშვილის ინტერესების დამცველები თითქმის დარწმუნებულები არიან, რომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებას უცვლელად დატოვებს ძალაში და აცხადებენ, რომ "ქართული ოცნების" ლიდერი ჯარიმის გადახადას არ აპირებს.

პირველი ოქმის მიხედვით, ივანიშვილმა "ქართული ოცნების" საარჩევნო ინტერესებიდან გამომდინარე, კომპანია "გლობალ კონსალტინგის" გამოყენებით, მოსახლეობას უსასყიდლოდ გადასცა ათობით ათასი სატელიტური ანტენა, რისთვისაც 12 622 019 ლარის შემოწირულობა განახორციელა. შესაბამისად, წინა ჯარიმების გადაუხდელობის გამო, ამ თანხის ათმაგი ოდენობით დაჯარიმდა. კონტროლის პალატის მეორე ოქმის მიხედვით კი, ბიძინა ივანიშვილმა კუთვნილი კომპანიების შპს "ბურჯისა" და შპს "ელიტა ბურჯის" სახელზე 239 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება დაარეგისტრირა, რომელთა გამოყენებითაც უსასყიდლოდ უწევდა მომსახურებას პოლიტიკურ გაერთიანება "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს". კონტროლის პალატის მტკიცებით, ამ ქმედებისთვის ივანიშვილმა 2 242 994 ლარის უკანონო შემოწირულობა განახორციელა და ამ თანხის ათმაგი ოდენობით დაჯარიმდა.

"ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით, მოქალაქეობის საკითხიდან დაწყებული, სახელმწიფო გავიდა სამართლებრივი სივრციდან და ისე იქცევა, როგორც უნდა. შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი საშუალება. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებს ძალაში დატოვებს, საერთაშორისო სასამართლოს მივმართავთ," - აცხადებს ივანიშვილის ინტერესების დამცველი შალვა თადუმაძე. მისივე მტკიცებით, სააპელაციო სარჩელში

ზედმიწევნით არის ჩამოყალიბებული ყველა ის არგუმენტი, რის საფუძველზეც, ობიექტურობის შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო ვალდებულია, გააუქმოს დადგენილება ბიძინა ივანიშვილის დაჯარიმების შესახებ.

ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებას ჯარიმის გადაუხდელობასთან დაკავშირებით, სამართლიანად მიიჩნევენ კოალიცია "ქართული ოცნების" წევრები.

"ბიძინა ივანიშვილი აღსრულების ეროვნული ბიუროს გადაწყვეტილების შესაბამისად იმოქმედებს. არ ვაპირებთ, აღსრულების ბიუროს ვუკარნახოთ, რა უნდა მოიმოქმედოს ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, თუმცა ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ," - აცხადებს ეკა ბესელია.

როგორ განვითარდება მოვლენები იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლოს გადაწყვეტილებას "ქართული ოცნების" ლიდერი არ აღასრულებს, ჯერჯერობით უცნობია.

როგორც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტმა ბექა დოჭვირმა განუმარტა სააგენტო "პირველს", თუ ივანიშვილი მისთვის განსაზღვრულ 7 დღის ვადაში ჯარიმას არ გადაიხდის, მაშინ კონტროლის პალატა სასურველ ვადაში, შესაძლოა, მეორე დღესვე, აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიმართავს მოთხოვნით, მისი გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი დაიწყოს. ამის შემდეგ, თავის მხრივ, აღსრულების ბიურო ხუთი დღის ვადაში ივანიშვილს მიმართავს გადაიხადოს დაკისრებული ჯარიმა, რისთვისაც კიდევ დამატებით 7 დღეს განუსაზღვრავს.

"თუ ივანიშვილი ამ შემთხვევაშიც არ გადაიხადის ჯარიმას, მაშინ მის პირად საკუთრებაში არსებული და არა მისი ნათესავების უძრავ-მოძრავი ქონება, აუქციონის წესით გაიყიდება. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში არსებული ქონების გაყიდვიდან მიღებული თანხა კონტროლის პალატის ჯარიმას ვერ დაფარავს, მაშინ შესაძლოა, ივანიშვილის სახელზე გაფორმებული ქონება საზღვარგარეთაც გაიყიდოს, თუმცა აქ ერთი დეტალია გასათვალისწინებელი: იმ ქვეყნის კანონმდებლობა საქართველოს აღსრულების ეროვნული ბიუროს გადაწყვეტილებას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს," - განმარტავს იურისტი. მისივე თქმით, ივანიშვილისგან, როგორც ფიზიკური პირისგან, თანხის ამოღება აღსრულების ბიუროს სხვა გზითაც შეუძლია.

"შესაძლოა, აღსრულების ბიურომ თანხა სეკვესტრის გზით ამოიღოს. ამ შემთხვევაში დაინიშნება სეკვესტრის მმართველი, რომელიც ივანიშვილის პირად საკუთრებაში არსებულ ქონებას გარკვეული პერიოდით, მაგალითად, 1 წლის ვადით განკარგავს და ჯარიმის თანხის ამოღების შემდეგ, ივანიშვილს კუთვნილი ქონება უკან დაუბრუნდება. აღსრულების ეროვნული ბიურო იმ გზას აირჩევს, რომელიც მისთვის უფრო ეფექტური და მისაღები იქნება," - აცხადებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი ბექა დოჭვირი.

საკუთარი ინფორმაცია

შემცირებული ნარკომომხმარებელი და ნარკოტიკების ბრუნვა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მარიხუანას მოიხმარს - 8,6, ორ ან მეტ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას ე.წ "შერეული" - 2,5, "ოპიუმის" ჯგუფს - 2,3, მეტამფეტამინი-ამფეტამინი ე.წ. "შერეული" - 1,8, "ოპიუმის" ჯგუფი - ფსიქოტროპული - 1,1, ბუპრენორფინი - "შერეული" -0,6, "მეთადონი" - 0,6, "კოკაინი" - შერეული - 0,04.

ნარკოტიკის ყველაზე მეტი მომხმარებელია თბილისი-მცხეთა-მთიანეთში - 32,3 პროცენტი, მას მოსდევს იმერეთი-რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი - 16,6 პროცენტი, აჭარა-გურია - 15,1, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 13,3, კახეთი - 12,3, ქვემო ქართლი - 8,3, სამცხე-ჯავახეთი - 6,1 და შიდა ქართლი - 4,8.

ადმინისტრაციული ჯარიმა თბილისში დაეკისრა 2245 პირს, იმერეთი-რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთში - 1641, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 1008 პირს, ყველაზე ცოტა მაჩვენებელი აქვს მცხეთა-მთიანეთს, სადაც ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრა 154 მომხმარებელს.

ნარკოტიკული საშუალებების შენახვაზე სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით 1457 საქმის გამოძიება დაიწყო შსს-ში, სხვა სტრუქტურებში კი - 397 საქმის. ყველაზე მეტი საქმე გამოიძიეს თბილისში - 662 საქმე, იმერეთი-რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთში - 182, სამეგრელი-ზემო სვანეთი - 180, ყველაზე ცოტა საქმე გამოიძიეს სამცხე-ჯავახეთში - 6 საქმე.

ნარკოტიკული საშუალებების განმეორებით მოხმარებისთვის სსკ-ის 273-ე მუხლით შსს-ში გამოძიება დაიწყო 1890 საქმეზე, დანარჩენ სამსახურებში კი - 27 საქმეზე. ამ მხრივაც, ყველაზე მეტი საქმით - 1216, კვლავ თბილისი ლიდერობს, ხოლო ყველაზე ცოტა - 13 საქმე გამოიძიეს შიდა ქართლში.

შსს-ს მონაცემებით, საქართველოში ყველაზე მეტად მოიხმარენ "მარიხუანას" - 48,13 პროცენტი, ორი ან მეტი ფსიქოტროპული ნივთიერება ე.წ. "შერეული" - 14,42, "მეტადონი" - 13,03, მეტაამფეტამენი-ამფეტამინი ე.წ. "შერეული" - 10,37, ოპიუმის ჯგუფი-ფსიქოტროპული - 6,48, ბუპრენორფინი "შერეული" - 3,85, მეთადონი - 3,46, "კოკაინი" - 0,27 პროცენტი.

10 ათას მოსახლეზე საშუალოდ ამოღებულია 235,61 გრამი ნარკოტიკული საშუალება.

შსს-მ ყველაზე დიდი რაოდენობით ამოიღო კანაფი - 157,6 პროცენტი, "მარიხუანა" - 71,8, "ჰეროინი" - 1,74 და სხვა ნარკოტიკული საშუალება 4,09 პროცენტი.

2010 წელთან შედარებით საქართველოში ამოღებულია 105,88 გრამით ნაკლები ნარკოტიკული საშუალება.

ნარკოტიკულ საშუალებებს ყველაზე ხშირად 25-44 წლის მამაკაცები მოიხმარენ. ქალი მომხმარებლების რაოდენობა კი 1 პროცენტს არ აღემატება.

ნარკომომხმარებელთა ასაკი ასე გამოიყურება: 25-დან 44 წლის ასაკის 4458 პირია ნარკომომხმარებელი, 17-დან 24-მდე - 1898, 44 წლის - 638, 17 წლის 12 პირი.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ბოლო სხდომა საქმეზე "საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ"

გუშინ,ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს სარჩელზე დასკვნითი მოსმენა გაიმართა, რომელზეც სარჩელთან დაკავშირებული პროცედურული და შინაარსობრივი მუშაობა დასრულდა. სტრასბურგის სასამართლო საქმეზე "საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ" საბოლოო გადაწყვეტილებას მოგვიანებით გამოიტანს.

საუბარია, ევროსასამართლოში 2007 წელს საქართველოს მიერ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ შეტანილ განაცხადზე, რომელიც 2006 წელს, რუსეთის მიერ საქართველოს მოქალაქეების ეთნიკური ნიშნით გამოძევებას ეხება. საქმის მასლების მიხედვით, მას შემდეგ, რაც საქართველოში რუსეთის ჯაშუშები გამოავლინეს, რუსეთმა საქართველოსთვის ჯერ ემბარგო დააწესა, შემდეგ კი ასობით საქართველოს მოქალაქე სატვირთო თვითმფრინავებით სამშობლოში გამოაძევა.

ქართულმა მხარემ სტრასბურგში რუსეთის ფედერაციის მხრიდან ევროკონვენციის მთელი რიგი მუხლების დარღვევის აღიარება მოითხოვა - ეს არის არაადამიანური მოპყრობა, უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა და სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა.

ქართული მხარის წარმომადგენლებმა სტრასბურგელ მოსამართლეებს დეტალურად აუხსნეს, რომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან ადგილი ჰქონდა ქართველების ეთნიკურ დევნას და კოლექტიურ გამოძევებას. ეთნიკურ ქართველებს რუსეთის ფედერაციამ უხეშად შეულახა ევროკონვენციით გათვალისწინებული უფლებები.

"ჩვენი დავის მთავარი არსი არის ის, რომ რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობა დადგეს ეთნიკური ნიშნით ქართველების დევნისა და მათი დეპორტაციისთვის, ასევე ამ პროცესში ადამიანის უფლებების დარღვევისთვის. გარდა ამისა, ვითხოვთ, ყველა იმ პირის მიმართ კომპენსაციის გადახდას, რომელმაც რუსეთის ასეთი პოლიტიკის გამო ზიანი განიცადა," - აცხადებს იუსტიციის მინისტრის მოადგილე თინა ბურჯალიანი.

სტრასბურგის სასამართლოში საქართველოს წარმომადგენელ ლევან მესხორაძის განმარტებით, სასამართლო სხდომის დაწყებამდე პროცედურულად პირველი შეხვედრა სასამართლოს პრეზიდენტთან გაიმართა.

"ეს არის ბოლო არსებითი განხილვა და ამით დამთავრდება მთლიანად საქმის პროცედურული და შინაარსობრივი მხარე და სასამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანს. ეს სხდომა ძირითადად საქმესთან დაკავშირებულ ყველა არსებით მხარეს ეხება. ჩვენ კიდევ ერთხელ შევახსენებთ სასამართლოს იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებსაც 2006 წლის შემოდგომაზე ჰქონდა ადგილი," - განაცხადა მესხორაძემ.

საქართველოს ხელისუფლება იმედოვნებს, რომ სტრასბურგის სასამართლო რუსეთიდან დეპორტირებულ ქართველთა საქმესთან დაკავშირებით ქართული მხარისთვის მისაღებ გადაწყვეტილებას გამოიტანს.

საკუთარი ინფორმაცია

"ნადირობა ქართველებზე"

9000 ქართველი რუსული განაჩენის მოლოდინში

ნათია მსხილაძე

რუსეთი ქართველთა დეპორტაციისთვის ემზადება. რუსეთის ფედერალურმა საიმიგრაციო სამსახურმა 9 ათას ქართველ არალეგალზე ძებნა გამოაცხადა.

"ჩვენთან საქართველოს 9 ათასზე მეტი ისეთი მოქალაქე იმყოფება, რომლებსაც დარღვეული აქვთ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე 90-დღიანი ყოფნის რეჟიმი. ამ ადამიანებს მოვძებნით და მათ მიმართ გადაწყვეტილებებსაც მივიღებთ: ან საიმიგრაციო სამსახური ან სასამართლო. ჩვენ წესრიგი უნდა დავიცვათ," - განაცხადა მიგრაციის ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელმა კონსტანტინ რომოდანოვსკიმ.

რუსეთი 2006 წელსაც ამტკიცებდა, რომ საქართველოს მოქალაქეების მასობრივ დეპორტაციას ყველა კანონის დაცვით, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ახორციელებდა. მსგავსი პოზიცია აქვს დღესაც. **"2006 წელს საქართველოს მოქალაქეების დეპორტაცია კანონიერად განხორციელდა. საქართველოს ყველა მოქალაქე სამშობლოში სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად დააბრუნეს,"** - განაცხადა რუსეთის ფედერაციის საიმიგრაციო სამსახურის უფროსმა.

რუსული მედიით ამ განცხადების გავრცელების შემდეგ კონსტანტინ რომოდანოვსკი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს კრემლში შეხვდა და კონკრეტული დავალებებიც მიიღო. **"ჩვენ გვაქვს სამართლებრივი შესაძლებლობები, უფრო მკაცრად დავამყაროთ წესრიგი მიგრაციის სფეროში და ეს უნდა გაკეთდეს. ყველა ნოვაცია ისეთ საკითხში, როგორც საემიგრაციო კანონმდებლობაა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და საზოგადოებასთან ერთად უნდა მივიღოთ. ამიტომ გთხოვთ, ამ წინადადების მომზადება დააჩქაროთ,"** - განაცხადა ვლადიმირ პუტინმა კონსტანტინ რომოდანოვსკისთან შეხვედრისას.

საქართველოს საგარეო უწყების შეფასებით, რუსეთის საიმიგრაციო სამსახურის გადაწყვეტილება სამწუხარო ფაქტია - ეთნიკური ქართველების დევნის მორიგი კამპანიით კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა კრემლის დამოკიდებულება ადამიანის უფლებების მიმართ. **"კონსტანტინე რომოდანოვსკის გამოსვლას რუსეთის საინფორმაციო საშუალებებში უკვე უწოდეს "ქართველებზე ნადირობის" გამოცხადება. ნიშანდობლივია, რომ კონსტანტინე რომოდანოვსკი მთლიანად ამართლებს 2006 წელს საქართველოს მოქალაქეებისა და ეთნიკური ქართველების დევნისა და დეპორტაციის პროცესში რუსეთის ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების მასიურ დარღვევებს, არაადამიანურ მოპყრობას, წამებას და საერთოდ არ ახსენებს იმ ადამიანებს, რომლებიც ეთნიკური დევნის კამპანიამ იმსხვერპლა. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ეთნიკური შეუწყნარებლობის ფაქტებს მომდევნო წლებშიც მასობრივი ხასიათი ჰქონდა, რის სამწუხარო მაგალითსაც წარმოადგენს ეთნიკურად ქართველი რუსეთის მოქალაქის მამუკა კახიშვილის სასტიკი მკვლელობა რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ქ. სამარაში 2011 წლის 10 ნოემბერს,"** - ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

რუსეთის საიმიგრაციო სამსახურის განცხადებას ქართველი დეპუტატებიც ეხმაურებიან. მათი თქმით, ეს არამეგობრული განცხადებაა და ეწინააღმდეგება კრემლის მიერ არაერთხელ გამოთქმულ სურვილს ქართველ ხალხთან კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ. **"ის, რომ ისინი ქართველი ხალხის მეგობრები არიან, მითია და მეტი არაფერი. მათ აგრესია აქვთ არა მარტო ქართველი, არამედ საკუთარი ხალხის მიმართაც,"** - აღნიშნა პარლამენტარმა აკაკი მინაშვილმა.

"ქრისტიან-დემოკრატების" შეფასებით, რუსეთის ასეთი ნაბიჯი განაპირობა 2006 წლის ქართველთა დეპორტაციის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს მოსალოდნელმა გადაწყვეტილებამ, რომელიც რამდენიმე თვეში გახდება ცნობილი. **"რუსეთის ეს პოზიცია სამწუხარო ფაქტია. რუსეთის ეს განცხადება არის პასუხი იმ გადაწყვეტილებაზე, რომელსაც სტრასბურგის სასამართლო, სავარაუდოდ, საქართველოს სასარგებლოდ გამოიტანს,"** - განაცხადა "ქრისტიან-დემოკრატების" წარმომადგენელმა პარლამენტში ნიკა ღალიაშვილმა.

ოპოზიციონერი პარლამენტარის ზურაბ ჩახვაშვილის შეფასებით, რუსეთი ამ გადაწყვეტილებით ადამიანის უფლებებს არღვევს, რადგან ეთნიკური ნიშნით გეგმავს ხალხის გამოძევებას. კრემლი მოახლოებული არჩევნების წინ დაძაბულობის შექმნას ცდილობს.

ქართველმა ექსპერტებმა რუსეთის ეს გადაწყვეტილება ეთნიკური და ნაციონალური ნიშნით დევნად შეაფასეს. **"ეს არ მოხდება კრემლთან და უშუალოდ პუტინთან შეუთანხმებლად. იმის ნაცვლად, რომ ქართველები მოხიბლოს და დასაქმების კარგი პირობები შესთავაზოს, პირიქით - მათ აძევებენ იმ იმედით, რომ ეთნიკური ნიშნით გამოძევებულები საქართველოს მთავრობას დაუპირისპირდებიან,"** - აღნიშნავს ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე.

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრის ფონდის ექსპერტ კახა გოგოლიშვილის პოზიციით, კრემლი ამ გადაწყვეტილებით საერთაშორისო კონვენციებს არღვევს, რადგან არჩევითი მიდგომით მოქმედებს.

ქართველებამდე მოსკოვმა დევნის პრაქტიკა ტაჯიკებზე გაიარა, ხოლო ქართველების შემდეგ მსგავსი სანქციები, სავარაუდოდ, მოლდოველების მიმართ გატარდება.

როგორც რუსული მედია წერს, რუსეთიდან გააძევებენ სამუშაოდ ჩასულ მოლდოველთის 500 ათას მოქალაქეს. დეპორტაცია მოხდება ვლადიმირ პუტინის განკარგულების საფუძველზე, რომელსაც რუსეთის პრეზიდენტმა რამდენიმე დღის წინ მოაწერა ხელი. განკარგულების თანახმად, შრომითმა მიგრანტებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ რუსული ენა, რუსეთის ისტორია და კონსტიტუცია. ამავე დოკუმენტის თანახმად, შეღავათები ვრცელდება საბაჟო კავშირში შემავალი ქვეყნების - ბელარუსისა და ყაზახეთის მოქალაქეებზე.

მოლდოველთა დეპორტაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ მოლდავეთი დნესტრისპირეთიდან "რუსეთის საოკუპაციო ჯარის" გაყვანას ითხოვს. **"სავარაუდოდ, მოლდოველთა უმრავლესობა პრეზიდენტის განკარგულებით მოთხოვნილ რუსული ენის, რუსეთის ისტორიისა და კონსტიტუციის გამოცდებს ვერ ჩააბარებს, რაც რუსეთიდან მათი მასობრივი გაძევების საფუძველი გახდება,"** - წერს რუსული გამოცემა "ნოვი რეგიონ".

ახალი კლინიკების მომსახურებით ყველა მოქალაქე ისარგებლებს

მაგდა ლეკიაშვილი

მთავრობის სხდომის გუშინდელი დღის წესრიგიდან მინისტრთა კაბინეტმა ორი მნიშვნელოვანი საკითხი განიხილა. პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია 2012 წლის პირველი კვარტლის პირდაპირი ინვესტიციების შესახებ. გილაურის თქმით, მათი მოცულობა ჯამში 270 მილიონი დოლარია, რაც 60-65 პროცენტით მეტია გასული წლის პირველი კვარტლის მაჩვენებელზე. როგორც პრემიერი აღნიშნავს, პირდაპირი ინვესტიციების კუთხით გასული წელიც საკმაოდ წარმატებული იყო, თუმცა წელს შედეგი აშკარად გაუმჯობესებულია. მთავრობა ინვესტიციების სწრაფი ტემპით ზრდას ვარაუდობს მიმდინარე წლის მეორე კვარტალშიც. გილაური შენიშნავს, რომ საქართველოში სამუშაო ადგილებს პირდაპირი ინვესტიციები ქმნის. 60-70-პროცენტიანი მატება კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირება, ისევე როგორც შარშან, წელსაც გაგრძელდება.

რაც შეეხება მეორე საკითხს, მინისტრებმა ჯანდაცვის რეფორმაზე ისაუბრეს, რომლის ფარგლებშიც საქართველოში ახალი საავადმყოფოები შენდება. რეფორმები ეხება ასევე სადაზღვევო სისტემას. ნიკა გილაურის თქმით, ტყუილია ის, თითქოს ახალი საავადმყოფოებით ხალხი არ სარგებლობს. პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ ჯანდაცვის მინისტრ ზურაბ ჭიაბერაშვილთან ერთად იმყოფებოდა მცხეთის ახლად გახსნილ საავადმყოფოში, რომელიც 25-საწოლიანია და თითქმის 100-პროცენტიანი დატვირთვით მუშაობს. პრემიერის ინფორმაციით, ამ საავადმყოფოში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჯერ კიდევ მიმდინარეობს და 25 სანოლი დაემატება. თუმცა, ნიკა გილაური არ უარყოფს, რომ მოქალაქეებს საავადმყოფოებში მისვლისას პრობლემები ხშირად ექმნებათ და მომსახურებით ვერ სარგებლობენ, რადგან მკურნალობა ძვირი სიამოვნებაა. ეს განსაკუთრებით პენსიონერებს ეხებათ.

"ამიტომ, 1 სექტემბრიდან ყველა პენსიონერი დაეზღვევა და თითოეული მათგანი შეძლებს, ახალი საავადმყოფოთი ისარგებლოს. პენსიონერების სადაზღვევო ვაუჩერში საკმაოდ კარგი მომსახურებებია შესული - მაგალითად, გათვალისწინებულია 50-პროცენტიანი თანადაფინანსება მედიკამენტებზე, ხოლო 10-პროცენტიანი - სხვადასხვა მომსახურებებზე. ჯანდაცვის რეფორმის მთავარი მიზანია არა მხოლოდ ახალი კლინიკების შენება და უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვა, არამედ საზოგადოებისთვის საავადმყოფოების ხელმისაწვდომობაც, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ეს ყველაზე ძალიან სჭირდება - პენსიონერებისთვის," - განაცხადა ნიკა გილაურმა. პრემიერი დასძენს, რომ მთავრობამ ბევრი რეფორმა გაატარა, მაგრამ ამ რეფორმების შესახებ საზოგადოებამ დეტალურად გვიან შეიტყო. მაგალითისთვის გილაურმა ხელისუფლების ინიციატივა - უმწეოების დაზღვევა გაიხსენა. გილაურის თქმით, ამ კატეგორიის ადამიანებს რამდენიმე თვე დასჭირდათ, რათა ზუსტად გაეაზრებინათ, როგორ უნდა გამოეყენებინათ დაზღვევის პოლისები. პრემიერს არ სურს, რომ პენსიონერების დაზღვევის დროსაც ასე მოხდეს. გილაურის თქმით, მოქალაქეები ამ სიახლის შესახებ რეფორმის განხორციელებამდე უნდა იყვნენ ინფორმირებულები.

"ყველა პენსიონერმა უნდა იცოდეს, რომ პირველი სექტემბრიდან ექნებათ საშუალება, თითოეულ ახალ კლინიკაში დაზღვევის პოლისი გამოიყენონ," - დასძინა გილაურმა.

საქართველოს საგარეო უწყება ნიგერიაში განხორციელებულ ძალადობას გმობს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩრდილოეთ ნიგერიის ზამფარის პროვინციის სოფლებზე მომხდარ თავდასხმებთან დაკავშირებით ღრმა მწუხარებას გამოხატავს. როგორც საგარეო უწყების განცხადებაშია ნათქვამი, თავდასხმები 11 ივნისს მოხდა, რის შედეგადაც უდანაშაულო ადამიანები დაიღუპნენ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მკაცრად გმობს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობას, მხარს უჭერს ნიგერიის ხელისუფლების ძალისხმევას, მიმართულს ქვეყანაში სტაბილურობის განმტკიცებისკენ, და გამოთქვამს იმედს, რომ დამნაშავეები კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებიან.

საგარეო საქმეთა სამინისტრო თანაგრძნობას უცხადებს ნიგერიის მთავრობასა და ხალხს, დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს.

must carry-ისა და must offer-ის პრინციპების დანერგვას 11 პარტია ემხრობა

საქართველოში must carry-ისა და must offer-ის პრინციპების დანერგვის შესახებ კამპანიის "ეს შენ გეხება" წარმომადგენელთა ინიციატივას 12 კვალიფიციური პოლიტიკური პარტიიდან 11 მხარს უჭერს.

როგორც კამპანიაში შემავალი არასამთავრობო და მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, პარტიებმა ერთობლივი განცხადება შეიმუშავეს, რომელშიც საკუთარი მხარდაჭერა ხელმოწერით დააფიქსირეს.

"საქართველოში მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების კონკურენტუნარიან გარემოში ჩასატარებლად, სამოქალაქო საზოგადოებასა თუ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან დღის წესრიგში განსაკუთრებული სიმწვავით დადგა ქვეყნის მოსახლეობისთვის ინფორმაციაზე ხელმისწავდომობისა და პლურალისტური მედიის ხელშეწყობის საკითხი. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ვიზიარებთ ქართული არასამთავრობო და მედიაორგანიზაციების მიერ პარლამენტში შეტანილ საკანონმდებლო წინადადებას ქართულ კანონმდებლობაში ე.წ. must carry-ისა და must offer-ის პრინციპების დანერგვის შესახებ. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, პარლამენტის მხრიდან აღნიშნული ინიციატივის გაზიარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მრავალფეროვან ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას," - ნათქვამია პარტიების ერთობლივ განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ "კონსერვატიული პარტია", "რესპუბლიკელები", "ქრისტიან-დემოკრატები", "ახალი მემარჯვენეები", "თავისუფალი დემოკრატები", "საქართველოს გზა", "ეროვნული ფორუმი", "ხალხის პარტია", "ევროპელი დემოკრატები", "მრეწველები" და "ლიბორისტული პარტია".

"მემარჯვენეები" სერტიფიცირებული მასწავლებლების დისკრიმინაციულ მდგომარეობაზე საუბრობენ

"ახალი მემარჯვენეები" სერტიფიცირებული მასწავლებლების დისკრიმინაციულ მდგომარეობაზე საუბრობენ. როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ფიქრია ჩიხრაძემ განაცხადა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 ოქტომბრის ბრძანებით, საჯარო სკოლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურების კუთხით დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ფიქრია ჩიხრაძე განმარტავს, რომ ახალი ბრძანებით ცვლილებები შევიდა 2005 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებაში, რომლის თანახმადაც, პედაგოგს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებს, უნდა ჰქონდეს სრული ან სრულზე მეტი დატვირთვა და მიეცემა პედაგოგთა ხელფასზე დანამატი, ყოველდღიურად 75 ლარის ოდენობით.

"თუ მაგალითისათვის ავიღებთ ქართულ ენასა და ლიტერატურას, რომელშიც სრულ განაკვეთად მიჩნეულია 18 საათი, სახელფასო დისკრიმინაცია აშკარად არის გამოხატული. დაწყებითი კლასების ზემოთ საქართველოს სკოლებში ქართულ ენასა და ლიტერატურას ეთმობა კვირაში 5 საათი, შესაბამისად ქართულის მასწავლებლისთვის სრული დატვირთვა მექანიკურად კვირაში 20 საათს აღწევს. სერტიფიცირებული მასწავლებლები ამ შემთხვევაში იღებენ განსაზღვრულ დანამატს 75 ლარის ოდენობით, მაგრამ მათ აღარ უნაზღაურდებათ 18 საათს ზემოთ ჩატარებული გაკვეთილების რაოდენობა. ეს მათთვის, სულ მცირე, თვეში - 36 ლარს, წელიწადში კი 437 ლარის დანაკლისს შეადგენს," - განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

"ახალი მემარჯვენეები" მიიჩნევენ, რომ სერტიფიცირებული მასწავლებლის დანამატი, სულ მცირე, იმაზე ნაკლები არ უნდა იყოს, რამდენიც განსაზღვრულია კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის სერთიფიკატის მქონე პირთათვის.

დასაქმების ახალი მაჩვენებლები

პირველი გვერდიდან

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) ინფორმაციით, რომელიც 2012 წლის 26 მაისს გამოქვეყნდა, საქართველოში უმუშევრობის დონის მაჩვენებელი 2011 წელს, 2010 წელთან შედარებით, 1,2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 15,1 პროცენტი შეადგინა.

საქსტატის ცნობით, უმუშევრობის დონის შემცირებასთან ერთად, მოსახლეობის აქტიურობისა და დასაქმების დონეების ზრდაც აღინიშნა. 2011 წელს, 2010 წელთან შედარებით, აქტიურობისა და დასაქმების დონეები, შესაბამისად, 1,0 და 1,6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. აქტიურობისა და დასაქმების დონეები გაზრდილია როგორც სოფლის, ასევე ქალაქის ტიპის დასახლებებში.

2011 წელს, 2010 წელთან შედარებით, დაქირავებით დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა რაოდენობა თითქმის ერთნაირად გაიზარდა. სოფლის ტიპის დასახლებებში უმუშევრობის დონე - 1,3 პროცენტული პუნქტით, ხოლო ქალაქის ტიპის დასახლებებში 0,7 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

რეგიონულ ჭრილში უმუშევრობის დონე შიდა ქართლში - 3,8 პროცენტით, იმერეთში - 2,4 პროცენტით, ხოლო კახეთში 2,2 პროცენტით შემცირდა.

აღნიშნულ პერიოდში უმუშევრობის დონე თითქმის ერთნაირად შემცირდა როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში. კერძოდ, უმუშევრობის დონე ქალებში 1,3 პროცენტით შემცირდა, ხოლო მამაკაცებში აღნიშნული მაჩვენებლის კლებამ 1,2 პროცენტი შეადგინა.

აქტიურობის დონის სქესობრივ ჭრილში განხილვისას აღსანიშნავია, რომ ქალებში აქტიურობის დონემ 2011 წელს ბოლო ექვსი წლის მანძილზე ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია, ხოლო მამაკაცებში - ბოლო ათწლეულის მანძილზე. აქტიურობის დონის ანალოგიურად, ქალებში დასაქმების დონემ 2011 წელს ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია ბოლო ექვსი წლის მანძილზე, ხოლო მამაკაცებში - ბოლო შვიდი წლის მანძილზე.

2010 წლის ადამიანური განვითარების ანგარიშის თანახმად, საქართველო ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა სამუშაო ძალის განათლების დონის მიხედვით. უმუშევართა 81 პროცენტს საშუალო ან უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. ეს იმას ნიშნავს, რომ განათლებული სამუშაო ძალა გამოუყენებელია და მას ქვეყნის ეკონომიკაში წვლილი ვერ შეაქვს. ამავე დროს, მსოფლიო კონკურენტულობის ანგარიშის მიხედვით (2011-2012 წლები), ქვეყანაში ბიზნესის კეთების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი არაადეკვატური განათლების მქონე სამუშაო ძალაა. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმეტესობა ეგრეთ წოდებულ "სტრუქტურულ უმუშევრობას" განიცდის. ამ ტიპის უმუშევრობა გრძელვადიანი უმუშევრობაა, რაც ძირითადად გამოწვეულია მუშახელის უნარ-ჩვევების შეუსაბამობით ბაზარზე არსებულ სამუშაოსთან. სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 9 პროცენტს შეადგენს. საკამათო ნამდვილად არ არის ის, რომ მშპ-ში იმ სექტორის წილი, რომელშიც დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 50 პროცენტია ჩართული, 9 პროცენტზე მეტი უნდა იყოს. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს ის, რომ სოფლად უმუშევრობის დონე 7.9 პროცენტს შეადგენს (2010 წლის მონაცემებით), მაშინ, როდესაც ქალაქებში უმუშევრობა 27.2 პროცენტს აღწევს. გარდა ამისა, სოფლად მთლიანად დასაქმებულთა 80 პროცენტი თვითდასაქმებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი სოფლის მეურნეობის სექტორში არიან ჩართულნი.

სტატისტიკა უჩვენებს, რომ ერთადერთი კატეგორია, რომელიც სტაბილურად იზრდება, თვითდასაქმებულთა კატეგორიაა, ხოლო "დაქირავებით" მომუშავე დასაქმებულთა რაოდენობა მცირდება. თვითდასაქმებული მოსახლეობა, ძირითადად, რეგიონებშია კონცენტრირებული. ამის მიზეზი სასოფლო-სამეურნეო მიწებია. ამაში შედიან ის ადამიანები, რომლებიც ნებაყოფლობით ამუშავებენ თავიანთი ოჯახის მიწას. ამის შედეგია ის მონაცემები, რომლის მიხედვითაც უმუშევრობის დონე რეგიონებში გაცილებით დაბალია, ვიდრე თბილისში. იმის გამო, რომ პოტენციური სამუშაო ძალა სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულად ვერ ჩაითვლება, თბილისში უმუშევრობის დონე მაღალია - 30.1 პროცენტი.

უმუშევრობა პრობლემა მხოლოდ საქართველოში არ არის, ჩვენი ქვეყნის პრობლემა ის გახლავთ, რომ უმუშევრობის მასშტაბები ბევრი სახელმწიფოს ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება. უმუშევრობის დონე საქართველოში დაახლოებით 17 პროცენტია, ევროკავშირში კი უმუშევრობის საშუალო დონე 10 პროცენტამდეა. ჰოლანდიაში ეს მაჩვენებელი 4,4 პროცენტით განისაზღვრება. ევროკავშირის 27 ქვეყნიდან საქართველოზე მაღალი უმუშევრობის დონე არის ესპანეთში - 20 პროცენტი და ბალტიისპირეთის ქვეყნებში -17.8 პროცენტი.

"ტავ ჯორჯიამ" შესაძლოა, სექტემბერში საფასო პოლიტიკას გადახედოს

რომი-თბილისი-რომის მიმართულებით იტალიის უმსხვილესი ავიაგადამზიდავი - "ალიტალია" იფრენს. რეგულარული რეისების შესრულებას ავიაკომპანია 2 ივლისიდან დაიწყებს. "ალიტალიას" ქართულ ბაზარზე შემოსვლა კომპანიის ხელმძღვანელობასა და "ტავ ჯორჯიას" შორის მოლაპარაკებების შემდეგ გადაწყდა. დღეისათვის კი იტალიის მიმართულებით ფრენა მხოლოდ მესამე ქვეყნის აეროპორტის გავლით, ტრანზიტულადაა შესაძლებელი.

იტალიის უდიდესი და მსოფლიოს სიდიდით მე-19 ავიაკომპანია რეისებს კვირაში ორჯერ შეასრულებს, ხოლო ბილეთის კონკრეტული ღირებულება მომდევნო თვეების განმავლობაში დაზუსტდება. **"რომი-თბილისის პირდაპირი რეისი ორ ქვეყანას შორის არა მარტო სავაჭრო-კომერციულ კავშირს გაამყარებს, არამედ ქართველ მგზავრებს შესაძლებლობას გაუზრდის, იმოგზაურონ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მიმართულებით. ქართულ ავიაბაზარზე ყოველი ახალი ავიაკომპანიის შემოსვლა ტურიზმის განვითარებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია, რასაც "ტავ ჯორჯია" ყოველთვის სიხარულით მიესალმება,"** - ამბობს "ტავ ჯორჯიას" გენერალური მენეჯერი მეთე ერქალმა.

150 თვითმფრინავის შემადგენლობის ავიაპარკით "ალიტალია" 28 შიდა და 62 საერთაშორისო რეისს ახორციელებს. კომპანია, 2011 ნოემბრის მონაცემებით, მსოფლიოს 41 ქვეყანაში ოპერირებს. მათ რიცხვს მალე საქართველო შეემატება.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ქართულ ავიაბაზარზე არაერთი ავიაკომპანია შემოვიდა. მათ შორის: "ეარ ასტანა", "ჩინეთის სამხრეთ ავიახაზები", "ურალის ავიახაზები", "ტაბანის ავიახაზები", "ფლაი დუბაი", "ეარ კარგო", "ყატარის ავიახაზები". 27 სექტემბრიდან კი ქუთაისის აეროპორტში რეისებს უნგრული ავიაკომპანია "Wizz Air"-ი შეასრულებს. კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ კიევის მიმართულებით ფრენები საკმაოდ დაბალ ფასებში განხორციელდება. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის აეროპორტი მგზავრების მომსახურებას სწორედ 27 სექტემბრიდან დაიწყებს.

უცხოური ავიაკომპანიების შემოსვლა ბაზარზე კონკურენციას ზრდის, რაც პირველ რიგში მგზავრებისთვის არის ხელსაყრელი.

"ტავ ჯორჯია" ქუთაისის აეროპორტის გახსნის შემდეგ საფასო პოლიტიკის გადახედვას არ გამორიცხავს. როგორც თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ოპერატორ კომპანიაში აცხადებენ, ამ დროისთვის მოსაკრებლის შემცირების საკითხი არ განიხილება, თუმცა სექტემბერში ფასები, შესაძლოა, გადაიხედოს.

ცოტა ხნის წინ თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან ფრენა კიდევ ერთმა კომპანიამ - "ეგეოსის ავიახაზებმა" დაიწყო. როგორც "ტავ ჯორჯიაში" აცხადებენ, ბერძნული ავიაკომპანია თბილისი-ათენი-თბილისის მიმართულებით რეგულარულ რეისებს კვირაში ორჯერ, ორშაბათსა და ხუთშაბათს შეასრულებს. "ეგეოსის ავიახაზები" მგზავრებს საბერძნეთის დედაქალაქიდან 15 ადგილობრივ და 21-ზე მეტ საერთაშორისო მიმართულებას სთავაზობს, მათ შორისაა ლონდონი, პარიზი, ფრანკფურტი, რომი და ბარსელონა.

საკუთარი ინფორმაცია

აშშ-სთან საქართველოს სავაჭრო ბრუნვის მნიშვნელოვანი ნაწილი აღურიცხავია

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ექსპერტის ეკონომიკის საკითხებში შალვა მექვაბიშვილის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, აშშ-დან საქართველოში შემოსული პროდუქტის დიდი ნაწილი აღურიცხავია, რის შედეგადაც საქართველოს სავაჭრო ბრუნვის მნიშვნელოვანი ნაწილი "ჩრდილში" ექცევა და ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტი მნიშვნელოვან შემოსავლებს კარგავს.

აღნიშნული კვლევის პრეზენტაცია გუშინ სასტუმრო "თბილისის მერიოტში" გამართული კონფერენციის ფარგლებში გაიმართა. კონფერენციას ეკონომიკის ექსპერტები და საქართველოში აშშ-ს საელჩოს წარმომადგენელი ესწრებოდნენ.

კვლევის ავტორის, შალვა მექვაბიშვილის განცხადებით, მან ამ კვლევის ჩატარება ტომას დე ვაალის სტატიის წაკითხვის შემდეგ გადაწყვიტა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის იანვრის თვეში აშშ-ში ვიზიტს ეძღვნებოდა.

"სტატიაში ერთმა ციფრმა დამაინტერესა. ეწერა, რომ საქართველოსთან აშშ-ს სავაჭრო ბრუნვამ 714 მილიონი დოლარი შეადგინა. ამერიკის საინფორმაციო წყაროების საშუალებით, რომელთაც დეტალურად აქვთ დათვლილი საქართველოსთან ექსპორტ-იმპორტი და სავაჭრო სალდო, ამ მონაცემების საშუალებით შედარება მოვახდინე და მივიღე ძალიან მძიმე ციფრები. აშშ-ს ექსპორტმა საქართველოში "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, ამერიკის მონაცემებით, 3 008,7 მილიონი დოლარი შეადგინა, იმავე პერიოდში საქართველოს მონაცემებით აშშ-ს საქართველოში იმპორტმა კი - 1662,4 მილიონი დოლარი. ქართულმა მხარემ 1 346,3 მილიონი დოლარით ნაკლები ანუ მთლიანი მონაცემების მხოლოდ 55,3 პროცენტი დააფიქსირა. სახელმწიფო ბიუჯეტმა ამ პერიოდში მარტო გადასახადების სახით მინიმუმ 1 მილიარდი ლარი, აშშ-დან შემოსული სხვადასხვა საქონლის განუბაჟებლობის ან ნაკლებ ღირებულებად განბაჟების გამო დაკარგა," - აღნიშნა მექვაბიშვილმა.

კვლევის თანახმად, 2004 წელს აშშ-ს და საქართველოს შორის საგარეო ვაჭრობაში, აშშ-ს მონაცემებთან შედარებით, ჩრდილში იყო მოქცეული მთლიანი საგარეო ბრუნვის 56,7 პროცენტი, 2005 წელს - 57,5 პროცენტი, 2006 წელს - 49 პროცენტი, 2007 წელს - 38,8 პროცენტი, 2008 წელს - 42 პროცენტი, 2009 წელს - 38 პროცენტი, 2010 წელს - 27,2 პროცენტი, 2011 წელს - 45,5 პროცენტი, 2012 წლის იანვარ-მარტში კი - 46,5 პროცენტი.

ჩატარებულ კვლევაში აშშ-დან საქართველოში შემოტანილ 5 პროდუქტზე იყო საუბარი.

კვლევის თანახმად, აშშ-დან საქართველოში შემოტანილი თევზი 5 მილიონ-ნახევარი დოლარისაა, ქართული მხარე კი 5 მილიონ დოლარს აფიქსირებს.

"აშშ-დან შემოტანილი ქათმის 65 პროცენტი, ნავთობპროდუქტების 98,6 პროცენტი, ბრინჯის 88 პროცენტი, სპირტიანი სასმელების 87 პროცენტი კი საქართველოში საერთოდ აღურიცხავია,"- აღნიშნულია კვლევაში.

შალვა მექვაბიშვილის თქმით, კვლევაში გამოყენებული მონაცემები, რომლებიც აშშ-ს ეხება, აშშ-ს სახელმწიფო აღწერის ბიუროდანაა აღებული, ხოლო ქართული მონაცემები კი - საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან და "საქსტატიდან". როგორც მექვაბიშვილი ამბობს, საქართველოში აშშ-ს საელჩოს წარმომადგენელი, რომელიც კვლევის პრეზენტაციას ესწრებოდა, აღნიშნული კვლევის შედეგებს ამერიკის ელჩს გააცნობს.

საკუთარი ინფორმაცია

სირია ლიბიის კვალდაკვალ?

პირველი გვერდიდან

აღნიშნული მუხლი მიღებული გადაწყვეტილებების განსახორციელებლად ძალის გამოყენებას გულისხმობს. ბან კი მუნის მოადგილის ერვე ლადსუს შემდეგ კი სირიაში შექმნილ მდგომარეობას სამოქალაქო ომი უწოდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმაც. საკამათოა რამდენად დაყაბულდება რუსეთი და ჩინეთი საფრანგეთის წინადადებას ძალის გამოყენების თაობაზე, მაგრამ პოლიტოლოგთა წრეებში იმედოვნებენ, რომ ოფიციალური მოსკოვიცა და პეკინიც მალე მივა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობის თავიდან ასაცილებლად სხვა გამოსავალი აღარ რჩება.

თავად სირიაში კი გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამთავრობო ძალებმა დაიბრუნეს კონტროლი ქალაქ ჰაფაზე, სადაც ამბოხებულებთან მძაფრი შეტაკებები მიმდინარეობდა. როგორც სირიის სახელმწიფო ტელეარხებმა გადასცეს ინფორმაცია, ქალაქი ე.წ. ტერორისტებისგან უკვე გაწმენდილია. სირიის გამათავისუფლებელი არმიის წარმომადგენლები კი აღნიშნავენ, რომ ჰაფადან შეიარაღებული ჯგუფების გაყვანა ერთადერთი მოტივით მოხდა, უზრუნველყოფილი ყოფილიყო მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოება.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანგი კოლეგის წინადადებას ჯერ არ გამოხმაურებია, სამაგიეროდ, უკომენტაროდ არ დატოვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კრიტიკა და ბრალდება. ჰილარი კლინტონმა თავისი განცხადებით რუსეთი სირიის იარაღით მომარაგებაში დაადანაშაულა, მათ შორის, სამხედრო ვერტმფრენების მიწოდებაში, რასაც პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ იყენებს. საპასუხო განცხადებაში სერგეი ლავროვმა ოფიციალური ვაშინგტონი სპარსეთის ყურის ქვეყნების იარაღით მომარაგებაში დაადანაშაულა. **"რამდენიმე დღის წინ უკვე აღვნიშნე, როდესაც მოსკოვში მორიგი პრესკონფერენცია მქონდა, რომ ჩვენ ვასრულებთ დიდი ხნის წინ შეთანხმებულ და ხელმოწერილ კონტრაქტებს. ყველა ეს ხელშეკრულება მხოლოდ და მხოლოდ ანტისაზენიტო თავდაცვის საშუალებებს ეხება,"** - განაცხადა სერგეი ლავრომა თეირანში ვიზიტისას ჟურნალისტებთან შეხვედრაზე. ირანის დედაქალაქში რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის ვიზიტის მიზანი მოლაპარაკებების გამართვაა, სადაც უმთავრესი თემა, სწორედ, სირია იქნება. როგორც ცნობილია, სერგეი ლავროვი სირიის თემაზე საერთაშორისო კონფერენციის გამართვის ინიციატივითაც გამოვიდა. მისი აზრით, უპრიანი იქნება, თუკი უმაღლეს ფორუმში მონაწილეობას დაახლოებით 15 ქვეყანა მიიღებს, მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები და სირიის მეზობელი სახელმწიფოები ირანის ჩათვლით. ისლამური რესპუბლიკის მოლაპარაკებებში ჩართვის წინააღმდეგი კი ოფიციალური ვაშინგტონია. "ძნელი წარმოსადგენია იმ ქვეყნის მიპატიჟება მოლაპარაკებებში, რომელიც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ასადის რეჟიმის ძალადობის მხარდამჭერი და თანამოაზრეა," - განაცხადა რამდენიმე დღის წინ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა.

ოფიციალური მოსკოვი კი ამ დრომდე მიიჩნევს, რომ სირიაში სამოქალაქო ომის პირობების მიუხედავად ძალის გამოყენება დაუშვებელია. რუსეთის საგარეო უწყებამ პარალელი ლიბიის მოდელთანაც გაავლო უკვე მერამდენედ და რევოლუციური ვნებათაღელვით შეპყრობილი რეგიონის სახელმწიფოებიც ჩამოთვალა. ცნობისთვის, წარსულში ირანის პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჯადს არაერთხელ განუცხადებია, რომ სირიის საკითხში დასავლური სახელმწიფოების ნდობა არ ღირს, რადგან ისინი ღიად არიან ბაშარ ასადის წინააღმდეგ ამხედრებულნი.

რუსეთის მისამართით გაკეთებული ბრალდების შემდგომი განმარტებისთვის განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა სპიკერმა ვიქტორია ნულანდმაც გააკეთა, მაგრამ სირიისთვის მიწოდებული სამხედრო ვერტმფრენების რაოდენობა არ დაუკონკრეტებია. **"სახელმწიფო მდივნის განცხადება სავსებით საკმარისია. არ ვაპირებ დეტალებში ჩაღრმავებას,"** - განაცხადა ნულანდმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე. მან მხოლოდ ის დააკონკრეტა, რომ ოფიციალური ვაშინგტონისთვის უკვე რამდენიმე თევა ცნობილია რუსული ვერტმფრენების ყოველგვარი ლეგიტიმაციის გარეშე საზღვრებს მიღმა გამოყენების შესახებ. **"ჩვენ თვეების განმავლობაში მოვითხოვდით დაჟინებით, რომ რუსეთს შეეწყვიტა სირიის მმართველ რეჟიმთან სამხედრო თანამშრომლობა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. ამის ნაცვლად ისინი განაგრძობენ ჩვენს დარწმუნებას იმაში, რომ შეიარაღება, რასაც სირიას უგზავნიან, შეუძლებელია მშვიდობიანი მოსახლეობის საწინააღმდეგოდ იყოს გამოყენებული. თუმცა როგორია დღევანდელი სურათი? ვხედავთ, რომ სირიის ხელისუფლება ვერტმფრენებს იმისთვის იყენებს, რომ საკუთარ მოსახლეობას ცეცხლი ჰაერიდან გაუხსნას,"** - დაამატა ასევე ვიქტორია ნულანდმა.

საერთაშორისო მედიაში კი უკვე გაჩნდა მოსაზრებაც იმის შესახებ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილე ერვე ლადსუმ თავისი განცხადებით სირიაში სამოქალაქო ომის დაწყების შესახებ ბოთლიდან ჯინი ამოუშვა.

ობამას პოპულარობა უცხოეთში კლებულობს

ვაშინგტონში მდებარე კვლევითი ცენტრის "Pew Research"-ის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგები იმაზე მეტყველებს, რომ ობამას საგარეო პოლიტიკურ კურსს საერთაშორისო თანამეგობრობაში დღეისთვის გაცილებით უფრო ნაკლებად იწონებენ, ვიდრე ეს მისი ხელისუფლებაში მოსვლის დასაწყისში იყო.

კვლევა ერთი თვე გრძელდებოდა და ის 17 მარტიდან 20 აპრილამდე 21 სახელმწიფოში ჩატარდა. რესპონდენტებისგან აინტერესებდათ, თუ როგორ არიან ისინი განწყობილნი ბარაკ ობამას მიმართ, რას ფიქრობენ მისი მეორე ვადით არჩევის პერსპექტივაზე, ამერიკის პრეზიდენტის ეკონომიკურ და საგარეო პოლიტიკაზე.

კვლევის შედეგების თანახმად, ობამას მხარდაჭერა ევროპელებსა და იაპონელებში შემცირდა, მაგრამ ჯერ კიდევ მაღალ დონეზე რჩება. ყველაზე ცუდი მდგომარეობაა მუსულმანურ ქვეყნებსა და ჩინეთში. ყველაზე დიდი კლება სწორედ ჩინეთში დაფიქსირდა, 57-იდან 27 პროცენტამდე. აბოტაბადში "ალ კაიდას" ლიდერის უსამა ბინ ლადენის ლიკვიდაციის შემდეგ ობამას მხარდაჭერის დონემ პაკისტანში 7 პროცენტამდე დაიწია. რუსეთში, რომელთანაც ობამამ ურთიერთობების გადატვირთვის პირობა დადო, რესპონდენტთა პასუხები ასევე აშშ პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკის მხარდაჭერის დონის კლებას აჩვენებს 18 პროცენტით - 40-იდან 22 პროცენტამდე.

ამერიკელების მიერ პაკისტანში, სომალისა და იემენში უპილოტო თვითმფრინავების გამოყენების წინააღმდეგია გამოკითხულთა უმრავლესობა თითქმის ყველა სახელმწიფოში.

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ მთლიანობაში ობამას მხარდაჭერის დონე ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირე სახელმწიფოებში, განსაკუთრებით, ევროპაში კვლავ მაღალია. აღნიშნულია ისიც, რომ ობამას მხარდაჭერის დონე იმაზე მაღალია, ვიდრე ეს მისი წინამორბედის, ჯორჯ ბუში უმცროსის შემთხვევაში იყო 2008 წელს, როდესაც ის თავის მეორე საპრეზიდენტო ვადას ამთავრებდა.

ბარაკ ობამას ხელახლა არჩევას მხარს უჭერს ევროპელების უმრავლესობა - 92 პროცენტი საფრანგეთში, 89 პროცენტი გერმანიაში, 73 პროცენტი დიდ ბრიტანეთში, 71 პროცენტი ესპანეთში, 69 პროცენტი იტალიაში. იგივე აზრზე არიან იაპონელები - 66 პროცენტი და ბრაზილიელები - 72 პროცენტი.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის ადმინისტრაციამ მხარი დაუჭირა პროდემოკრატიულ პროტესტებს ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებში, რეგიონში გამოკითხულთა დიდ ნაწილს ბარაკ ობამას ხელახლა არჩევის იდეა არ მოსწონს. ეგვიპტელთა 76 პროცენტი, იორდანელების 73 პროცენტი და ლიბანელთა 62 პროცენტი ობამას ხელახლა არჩევის წინააღმდეგია.

რუსეთში ხმები დაახლოებით შუაზე გაიყო. 25 პროცენტი მხარს უჭერს ობამას ხელახლა არჩევას, 27 პროცენტი ამის წინააღმდეგია.

ბევრი რესპონდენტისთვის ეკონომიკური რეალობის აღქმაც შეიცვალა. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და ჩინეთის ეკონომიკის ზრდამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობამ გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და ესპანეთში ახალ ეკონომიკურ სუპერსახელმწიფოდ ჩინეთი დაასახელა და არა ამერიკის შეერთებული შტატები.

"ბი-ბი-სი"-ს მიხედვით
მოამზადა ივა შილაკაძემ

ნატო-ს ავღანეთთან დამაკავშირებელი პაკისტანის გზის გახსნის იმედი აქვს

ნატო-ს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის სიტყვებით, ტრანზიტის შესახებ ცენტრალური აზიის სამ ქვეყანასთან დადებული შეთანხმების მიუხედავად, ნატო იმედოვნებს, რომ პაკისტანი კოალიციისათვის ავღანეთთან დამაკავშირებელ გზას გახსნის. აღნიშნული გზა პაკისტანმა გასული წლის ნოემბერში ნატო-ს მიერ განხორციელებული საჰაერო იერიშის შემდეგ ჩაკეტა, რომელსაც 24 პაკისტანელი სამხედრო ემსხვერპლა.

უზბეკეთთან, ყაზახეთთან და ყირგიზეთთან დადებული სატრანზიტო ხელშეკრულება ნატო-ს ძალებს მეტ მოქნილობას მიანიჭებს, თუმცა "გვინდა, ყველა არსებული შესაძლებლობა გვქონდეს," - აღნიშნა კანბერაში გამოსვლისას რასმუსენმა. ნატო-ს გენერალურ მდივანს იმედი აქვს, რომ პაკისტანი გზას ახლო მომავალში გახსნის.

ნოემბრის ინციდენტის გარდა, ისლამაბადსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობას ამერიკის უპილოტო თვითმფრინავიდან განხორციელებული საჰაერო იერიშებიც ამწვავებს, რომელსაც პაკისტანი ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევად მიიჩნევს. თუმცა, ამერიკის მხარე აღნიშნულს არ ეთანხმება და აღნიშნავს, რომ საჰერო იერიშები, ფაქტობრივად, ერთადერთი ეფექტური გზაა იმ შეიარაღებული მებრძოლების წინააღმდეგ საბროლველად, რომლებიც თავს პაკისტანის ძნელად მისადგომ ადგილებს აფარებენ თავს.

აფეთქებებს ერაყში 60 ადამიანი ემხვერპლა

ერაყის რამდენიმე ქალაქში მომხდარ აფეთქებებს, სულ მცირე, სამოცი ადამიანი ემსხვერპლა და ასამდე დაშავდა. პოლიციის ინფორმაციით, დაღუპულთა ძირითადი ნაწილი შიიტი მუსლიმები არიან. დედაქალაქ ბაღდადში აფეთქებები შიიტი მომლოცველების შეკრების ადგილებში განხორციელდა. ეს უკანასკნელები შეკრებილები იყვნენ იმ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, რომლებიც ქვეყანაში მეშვიდე იმამის მუსა კაზიმის გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავად ტარდება. მას შიიტები წინასწარმეტყველ მუჰამედის მემკვიდრედ მიიჩნევენ. ეს ღონისძიებები მთელი კვირა გაგრძელდება. ერაყის სამხრეთ ნაწილში, ქალაქ ჰილში ერთ-ერთ რესტორანთან ორი დანაღმული ავტომანქანა აფეთქდა, მათგან ერთ-ერთში თვითმკვლელი ტერორისტი იჯდა. იქ, სულ ცოტა, 15 ადამიანი დაიღუპა. კიდევ ორი აფეთქება განხორციელდა ქვეყნის ჩრდილოეთში, ქალაქ ბალადში, რომელშიც ძირითადად შიიტები ცხოვრობენ. ეს შიიტ მომლოცველებზე თავდასხმის პირველი შემთხვევა არ არის. ამგვარმა დაპირისპირებამ 2006-2007 წლებში ერაყი შიიტ უმრავლესობასა და სუნიტ უმცირესობას შორის ლამის სამოქალაქო ომამდე მიიყვანა. ბოლო წლებში ტერაქტებმა იკლო, თუმცა შარშან დეკემბერში ქვეყნიდან ამერიკული შენაერთების საბოლოოდ გაყვანის შემდეგ ისევ იმატა.

ამერიკას მაგნიტსკის სიისა და რუსეთთან არსებული ვაჭრობის შეთანხმების დაკავშირება სურს

ამერიკის სენატში რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ კანონს განიხილავენ. სენატორები მზად არიან, დოკუმენტს მხარი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭირონ, თუ ის "მაგნიტსკის კანონთან" იქნება დაკავშირებული, რომელიც რუსეთის რამდენიმე მოქალაქისათვის სანქციების დაწესებას გულისხმობს.

საქმე ეხება ჯექსონ-ვენიკის შესწორების გაუქმებას, რომელიც 1974 წლიდან მოქმედებს. ეს შესწორება საბჭოთა კავშირში თავისუფალი მიგრაციის არარსებობის გამო ამ ქვეყანასთან, ისევე როგორც მსოფლიოს კიდევ რამდენიმე ავტორიტარულ სახელმწიფოსთან სავაჭრო შეზღუდვებს აწესებდა.

შეთანხმების გაუქმებასთან დაკავშირებით წარმომადგენელთა პალატაში და სენატში რესპუბლიკელებს საკუთარი მოთხოვნები აქვთ. რესპუბლიკელმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა განაცხადა, რომ ის მზად არის, კანონპროექტს მხარი იმ შემთხვევაში დაუჭიროს, თუ ჯექსონ-ვენიკის შესწორებას გააუქმებენ სანქციების მიღებასთან ერთად. ამერიკის ადმინისტრაციაც მსგავსი ვარიანტის მიღებას უჭერს მხარს.

7 ივნისს ცნობილი "მაგნიტსკის კანონი" წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო საქმეების კომიტეტმა მოიწონა. კანონის ტექსტის თანახმად, სავიზო და ფინანსური სანქციები იმ პირებს შეეხება, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდებიან ფონდ Hermitage-ის იურისტის სერგეი მაგნიტსკის დაკავებასა და სიკვდილს.

იემენში უპილოტო თვითმფრინავით 9 ტერორისტი მოკლეს

ქვეყნის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების სიტყვებით, ქალაქ აზანში, იემენის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სავარაუდოდ, უპილოტო თვითმფრინავის შეტევის შედეგად ლიკვიდირებულია ტერორისტულ ქსელ "ალ კაიდას" 9 მებრძოლი. აფეთქებები იმდენად ძლიერი იყო, რომ მთელი ქალაქი შეაზანზარა. აზანში ამ დროისთვის "ალ-კაიდას" რამდენიმე ასეული მებრძოლია თავმოყრილი. მათ უკან დაიხიეს მას შემდეგ, რაც სამთავრობო ძალებმა სამშაბათს დაიკავეს ტერორისტი-აბოხებულების გამაგრებული პუნქტები ქალაქებში ზინჯიბარში და იაარში. აქტიური დაპირისპირება სამთავრობო არმიასა და "ალ კაიდას" რაზმებს შორის მეტ-ნაკლები ინტენსიობით გრძელდება შარშანდელი გაზაფხულიდან. "ალ კაიდა" არაბული გაზაფხულის ტალღასთან ერთად გააქტიურდა, როდესაც იემენის ხელისუფლება და ოპოზიცია პოლიტიკური დაპირისპირებით იყო დაკავებული.

მოამზადა თამთა კახაძემ

ელექტრონულად დამუხტული ჯაზფესტივალი

პირველი გვერდიდან

დიჯეი ტაბუ (როგორც დიჯეი) საკმაოდ დიდ დროს ატარებს ტურნეებში და ამჟამადაც ამ პროცესშია ჩართული. მათთვის, ვინც ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატითაა გატაცებული და მატჩების სანახავად კიევშიც ბრძანდება, ალბათ საინტერესო იქნება, რომ ტაბუ 26 ივნისს კიევის ფანზონაში გამართავს კონცერტს, რომლის დროსაც საკუთარის გარდა Black Eyed Peas-ის ცნობილ კომპოზიციებსაც შეასრულებს (სავარაუდოდ, იგივე განმეორდება ბათუმშიც). ამ პროგრამით მუსიკოსი უკვე გამოვიდა ლონდონის, პარიზის, ბანგკოკის, სინგაპურის, შანხაის, მაიამისა და კანის სცენებზე და როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, ტაბუმ შესანიშნავად შეძლო ჯგუფის კონტექსტიდან უმტკივნეულოდ ამოვარდნა და საკუთარი ნიჭის დამტკიცება. აღსანიშნავია, რომ ამავე ადგილას, თუმცა 20 ივნისს კონცერტს გამართავს ნინო ქათამაძეც, ხოლო ფანზონების ღინისძიებათა ორგანიზატორები ელტონ ჯონის სტუმრობასაც ელიან.

დიჯეი ტაბუ, იგივე ჰაიმე ლუის გომესი 1975 წელს კალიფორნიაში დაიბადა. მის ძარღვებში მექსიკელისა და ინდიელის სისხლი ჩქეფს, რაც არა მხოლოდ მუსიკოსის გარეგნობაზე, არამედ მის შემოქმედებაზეც აისახება. ჰაიმე გომესი ბავშვობიდან ბებიასთან იზრდებოდა, რომლის შესახებაც ავტობიოგრაფულ წიგნში Fallin'Up: My Story-ში დიდი სიყვარულით წერს: "ბებია სწორედ ის ადამიანია, რომელმაც ჩემს ცხოვრებაზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა. ის გახლდათ ჩემი მამოძრავებელი ძალა, ყოველთვის მიმეორებდა, რომ ცხოვრებაში წარმატებას მივაღწევდი და ასეც მოხდა."

ტაბუს სასცენო მოღვაწეობა ცეკვით დაიწყო. 80-იანი წლების ბოლოს ის კალიფორნიის ერთ-ერთ საუკეთესო ბრეიქდანსერად მიიჩნეოდა, მას ხშირად იწვევდნენ შოუებზე საცეკვაოდ, ხოლო ერთ-ერთი შოუს დროს უილიამ ადამსი (will.i.am) და ალენ პინედა (apl.de.ap) გაიცნო. ამ უკანასკნელთ უკვე ჰქონდათ საკუთარი ჯგუფი Atban Klann, რომელიც 90-იან წლებში Black Eyed Peas-ის ჩამოყალიბების საფუძვლად იქცა.

მუსიკის გარდა დიჯეი ტაბუს სხვა გატაცებებიც აქვს. სახასიათო გარეგნობის მიღმა საკმაოდ მშვიდი ადამიანი იმალება. ის პლასტმასის სათამაშოებს აგროვებს, ხოლო უკანასკნელ წლებში ფეხსაცმლის დიზაინითაცაა გატაცებული. ამ სფეროში მუსიკოსი საკმაოდ წარმატებულია, აქვს სპორტული ფეხსაცმლის ორი ხაზი Taboo DeltaH 3008 და TABOOXJUMP, რომლებიც ახალგაზრდებში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და არა მხოლოდ იმის გამო, რომ მათ იარლიყს საყვარელი მუსიკოსის ფსევდონიმი ამშვენებს.

2007 წელს ტაბუს ცხოვრებაში საკმაოდ რთული პერიოდი დადგა - ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი მუსიკოსი ავტოავარიაში მოყვა, რის გამოც გარკვეული პერიოდი ციხეში გაატარა. ამ ფაქტის შესახებ ის Fallin'Up: My Story-ში წერს. ამბობენ, რომ წიგნი ზოგადად საკმაოდ საინტერესოა და ზოგჯერ ზედმეტად გულწრფელიც: მუსიკოსი იხსენებს თავის ბავშვობას, მუსიკალური კარიერის დასაწყისს, ლოს ანჯელესის ჰიპ-ჰოპ კლუბებში გატარებულ პერიოდს და სხვა დეტალებს.

რაც შეეხება მთლიანად ჯაზფესტივალს, მისი ყველაზე საინტერესო ეტაპი 19 ივლისიდან დაიწყება, როდესაც სცენაზე პიანისტ ბაჩა მძინარიშვილის კვინტეტს და სპეციალურ სტუმარ მესაყვირე დარენ ბარეტს ვიხილავთ. იმავე დღესაა დაგეგმილი ძალიან საინტერესო კონცერტი - ბიტბოქსში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონ Butterscotch-ის შოუ, შემდეგ კი სცენაზე ლარი გრეჰემი და Graham Central Station გამოვა. 20 ივლისს ჯონ სკოფილდსა და მის Hollowbody Band-ს მოვუსმენთ, რომელსაც უკვე ნახსენები დიჯეი ტაბუ ჩაანაცვლებს. ჯო კალდერაცოს ტრიო 21 ივლისის კონცერტს გახსნის, შემდეგ კი ბექა გოჩიაშვილი თავის ახალ სექსტეტს წარმოგვიდგენს. ფესტივალს ბრაზილიური მუსიკის ლეგენდად შერაცხული სერჟიო მენდესის სამბა, ბოსა-ნოვა და ჰიპ-ჰოპი დახურავს. აქვე შეგახსენებთ, რომ 17 და 18 ივლისს ბათუმის ქუჩებში რამდენიმე უფასო კონცერტიცაა დაგეგმილი, ხოლო კლუბი Take Five ექსკლუზიურ პროგრამას გთავაზობთ.

ბათუმის შავი ზღვის ჯაზფესტივალს წარმოადგენს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და თიბისი სტატუსი, მხარდამჭერია ბათუმის მერია და აჭარის კულტურის სამინისტრო, დამატებითი ინფორმაცია კონცერტების, ბილეთებზე ფასდაკლებებისა და სხვა საკითხების შესახებ კი იხილეთ ვებგვერდზე batumijazz.ge.

მაღალაანთ ეკლესიაზე

სოფიო ნემსაძე

დღეს, 14 ივნისს კასპის რაიონის ორი უძველესი ისტორიული ძეგლის - მაღალაანთ ეკლესიისა და ერთაწმინდის ტაძარში სარეაბილიტაციო სამუშაობის მიმდინარეობას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი მოინახულებს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით რესტავრატორებმა სარეაბილიტაციო სამუშაობი ადრე გაზაფხულზე დაიწყეს. მაღალაანთის XII საუკუნის ეკლესია უკვე აღდგენილი და განახლებულია. ძეგლი გამაგრდა უჟანგავი ლითონის ანკერებით, გადაიხურა იმერული კრამიტით, მოეწყო წყლის გადამყვანი სისტემები და განორციელდა კედლის ბზარების ინექტირება. მაღალაანთ ეკლესია ისტორიულად ადგილობრივ აზნაურებს მაღალაძეებს ეკუთვნოდათ და სწორედ აქედან მომდინარეობს მისი სახელწოდებაც.

მაღალაანთის ხუროთმოძღვარს დეკორატიული ეფექტისათვის ორი ფერის ქვა გამოუყენებია — ძირითადად ყვითელ-ქვიშისფერი, ხოლო ორნამენტული ფრიზისთვის რომელიც მთელ შენობას უვლის გარს, ლამაზი მწვანე ფერის ქვა ჩაურთავს. ძეგლი მდიდრულადაა შემკული ორნამენტებით (სარკმლებისა და პორტალების საპირეები, კარნიზები, ჯვრისა და ფრინველების კომპოზიცია დასავლეთ ფასადზე). ინტერიერში შემორჩენილია განვითარებული შუა საუკუნეებისა და XVII საუკუნის მოხატულობის ფრაგმენტები.

წმინდა ევსტათის (ესტატეს) სახელობის XIII საუკუნის პირველი ნახევრის ერთაწმინდის - "ესტატე წმინდის" ჯვარგუმბათოვანი ტაძარი, XVI საუკუნის დასაწყისიდან ჯერ თარხნიშვილთა საგვარეულოს ეკუთვნოდა და მოგვიანებით სააკაძის სააკაძეების საგვარეულო საძვალე გახდა. სწორედ აქ არის დაკრძალული გიორგი სააკაძის ერთ-ერთი ვაჟის, მოწამებრივად დაღუპული პაატას მოკვეთილი თავი.

ერთაწმინდის ტაძარი სტილისტიკით იმეორებს XII-XIII საუკუნეების ძეგლებს იკორთას, ფიტარეთს, ქვათახევს, წულრუღაშენს და სხვებს.

რესტავრატორები ერთაწმინდაში სამუშაობის მეორე ეტაპს ახორციელებენ. ამჯერად მხატვარ - რესტავრატორის ზედამხედველობით ძეგლის სადრენაჟე არხის გაწმენდა, ტაძრის ინტერიერში გაჯის ნალესობის ჩამოხსნა და ეკლესიის კალთებზე ახალი გადახურვის მოწყობა მიმდინარეობს. სამუშაოები ივნისის ბოლოს დასრულდება.

ვასილ თამარაშვილი არქივში

იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივს მუსიკოს ვასილ თამარაშვილის პირადი არქივი შეემატა. მასალა ეროვნულ არქივს უსასყიდლოდ გადასცა ვასილ თამარაშვილის შვილიშვილმა ნოდარ ხითარიშვილმა.

ვასილ თამარაშვილი, პირველ რიგში ცნობილია, როგორც ქართული ხალხური ინსტრუმენტური ორკესტრის შემქმნელი და მისი ხელმძღვანელი.

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის მიხეილ თამარაშვილის ძმისშვილი ვასილ თამარაშვილი 1883 წელს თბილისში დაიბადა. სწავლობდა თბილისის IV კლასიან სასწავლებელში, შემდეგ დაამთავრა თბილისის მუსიკალური სასწავლებელი, სადაც მუსიკალური თეორიის კურსს ზაქარია ფალიაშვილი ასწავლიდა.

სასწავლებლის დასრულების შემდეგ ვასილ თამარაშვილი შეუდგა ქართული ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტების შესწავლასა და აღდგენას. მან ქართველ მოღვაწეთა შორის პირველმა შექმნა ქართული ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტული ორკესტრი და მისი ხელმძღვანელიც იყო. აღსანიშნავია, რომ თამარაშვილის მიერ 20-მდე სახეობის ხალხური საკრავია აღდგენილი.

ვასილ თამარაშვილმა შექმნა მეთოდური სახელმძღვანელო მუსიკალური ინსტრუმენტების შესასწავლად. მასვე ეკუთვნის ნოტების საბეჭდი მექანიკური მანქანის გამოგონება მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, რომელიც სანოტე ნიშნებთან ერთად, ბეჭდავდა ლიტერატურულ ტექსტს ხუთ ენაზე. დღეისათვის არსებობს ამ მანქანის პატენტი, თუმცა მისი სერიული გამოცემა სხვადასხვა მიზეზი გამო არ მოხერხდა.

ვასილ თამარაშვილის პირად არქივშია მასალები სანოტო მანქანის გამოგონების, ძველი მუსიკალური საკრავების აღდგენის შესახებ; საოჯახო და შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ფოტოები; ნაშრომები მუსიკალური საკრავების გამოყენების წესების შესახებ. ფონდშია, ასევე, ზაქარია ფალიაშვილის რეკომენდაცია თბილისის მუსიკალური სასწავლებლის კურსდამთავრებული ვასილ თამარაშვილისათვის სამხედრო მუსიკალური გუნდის კაპელმეისტერად დანიშვნის შესახებ და სხვა.

თამარაშვილის პირადი არქივის მასალა საარქივო წესით დამუშავდება, აღიწერება და მუსიკის ისტორიის მკვლევარებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ აღნიშნული მუსიკოს-გამომგონებლის პირადი ფონდით.

24 საათი

ვარშავამ რუსულ-პოლონური ომი გადაიტანა

დაპირისპირება ვარშავის ქუჩებში

12 ივნისი ევრო 2012-ის კალენდარში ყველაზე მძიმე დღედ ითვლებოდა. ამის მიზეზი ფეხბურთი არ ყოიფლა. საქმეში პოლიტიკა ჩაერთო. რუსეთ-პოლონეთის მატჩის წინ რუსი ფანები ვარშავის ცენტრში რუსეთის დღის აღსანიშნავად მარშის მოწყობას აპირებდნენ.

ფიქრობდნენ, რომ აქცია მშვიდობიანად არ დასრულდებოდა. მოკლედ, მოსახდენი მოხდა. რუსებმა აქცია გამართეს და ვარშავის ქუჩები საომარ მოქმედებათა ადგილს დაემსგავსა.

პოლონელები მასობრივი არეულობისთვის მოემზადნენ. ხუთი ათასი რუსი გულშემატკივარი, რომლებსაც ექვსი ათასი პოლიციელი იცავდა, ქუჩაში თავისი ნაკრების მხარდასაჭერად გამოვიდა. მარშის დაწყებამდე რამდენიმე ათეულმა პოლონელმა რუს გულშემატკივრებზე თავდასხმა სცადა, მაგრამ პოლიციამ ოპერატიულად შეძლო სიტუაციის დარეგულირება. შეტაკებისას დაშავდა ერთი პოლონელი. როგორც უცხოური სააგენტოები იუწყებიან, შეტაკებისას პოლიციას იარაღის გამოყენებაც მოუხდა. პოლიციამ გულშემატკივრების მიმართულებით რეზინის ტყვიები ისროლა. პოლონელი გულშემატკივრები პოლიციის მიმართულებით ბოთლებს ისროდნენ. მათ დასაშლელად პოლიციამ წყლის ჭავლიც გამოიყენა.

ეს ყველაფერი მატჩამდე ხდებოდა, თავად თამაშმა კი მშვიდად ჩაიარა. ტრიბუნებზე რუს და პოლონელ ფანებს ერთმანეთთან არ უჩხუბიათ. თამაშიც მშვიდობიანად დასრულდა, თუმცა, როგორც ჩანს, საფეხბურთო მატჩი ერთგვარი ანტრაქტი იყო საომარ მოქმედებებს შორის. დასრულდა თუ არა თამაში, გულშემატკივრები ერთმანეთს დაერვინენ და ჩხუბი ქუჩაში გაგრძელდა.

პოლიციელებმა 180-ზე მეტი ადამიანი დააკავეს. მათ შორის მხოლოდ ოცია რუსი. ჩხუბში დაშავდა ათამდე ადამიანი.

მატჩის შემდეგ, ღამით, რუსულმა სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ პოლიციასთან შეტაკებისას ერთი რუსი გულშემატკივარი გარდაიცვალა, თუმცა, ეს ინფორმაცია არასწორი გამოდგა.

დიურანი და DUREXი

ზურაბ თალაკვაძე

ლებრონმა ისევ წააგო

მაიკლ ჯორდანი ბოლო სერიაში არ იღლებოდა. მაიკლი ბოლო სერიას იმ სერიის დაწყებამდე იგებდა. მისტერ ჯორდანი კალათბურთის ჰალკი იყო.

ლარი ბერდი ბოლო სერიას არ იგებდა. ლარი ბოლო სერიის დროს ისვენებდა, დენი ეინჯთან ერთად პოკერს თამაშობდა. ლარი კალათბურთის ინტელექტი იყო.

შაკი ბოლო სერიას დიზელის საფულეში კეცავდა და ავიწყდებოდა, რომ ის სერია მოსაგები იყო. შაკი ყველა ბოლო სერიაში დიზელი, მისტერ ყველაფერი იყო.

ტიმ დანკანი ბოლო სერიის ავატარი, პიტერ პენი იყო. ტიმი დევიდ რობინსონისგან უფროსებთან რიდით საუბარს სწავლობდა. დანკანი მისტერ ზრდილობაა.

კობი ბრაიანტი ბოლო სერიის ბოლო სერია იყო. ბრაიანტმა ოთხი ფინალი მოიგო. ბრაიანტი ამ გენერაციის ჯორდანია. თითქმის ჯორდანი…

ლებრონ ჯეიმსი ბოლო სერიის კასპერია. ის ბუნჩულა მოჩვენება დროდადრო ემოციურად შემოდის კადრში და კრისტინა რიჩის პერსონაჟი მთელი არარსებული გულით უყვარს.

კასპერი ლებრონზე უფრო ჩანს. მისტერ ჯეიმსი "ოკლაჰომასთან" სერიის სამ მეოთხედში უილტ ჩემბერლენის, მაიკლის, ლარის, ტიმის და კობის საინტერესო მიქსტი იყო და ბოლო მეოთხედში ლებრონი მორჩა, გათავდა, ცოტა იყო.

ბოლო მეოთხედში აკრიფა კევინ დიურანმა. "ოკლაჰომას" ლიდერი ბავშვობაში ბალეტზე დადიოდა და კევინის კალათბურთიც ბალეტია. ელეგანტური, ცოტა ქუჩური, ცოტა სექსუალური და, ძირითადად, შედეგის მომტანი. მისტერ დიურანი ამ სერიის მაიკლ კორლეონე იქნება. ლებრონი უფრო ფრედოა. ინერციით, კორლეონეს ოჯახის წევრია და საქმესაც ინერციით აკეთებს.

"ოკლაჰომა" მესამე მეოთხედში 13 ქულას აგებს. "ოკლაჰომამ" მინუს 13 დაქაჩა და ლებრონის ტერიტორიაზე თავისი დახლი დადგა.

ჯეიმს ჰარდენი არ ჩანდა და "ოკლაჰომამ" მოიგო.

დერეკ ფიშერი დაცვაში ნული იყო და "ოკლაჰომამ" მოიგო.

"ოკლაჰომამ" 105:94 წამოიღო. მეორე ტაიმი კევინის ახლობლებმა 58:40 აიღეს. სოლიდურია.

დუეინ უეიდმა თამაშიდან (19) ბევრი ისროლა, ცოტა (7) ჩააგდო და "ოკლაჰომას" უნდა მოეგო.

ლებრონმა ბოლო მეოთხედში ფლეში ვერ გაშალა. ხდება ხოლმე. ლებრონს წინა თაობის, აზრზე მოსული კრუპიე დაუყენეს და ჯეიმსმა ყველა კომბინაცია წააგო. ჯეიმსი იმ მაგიდაზე ზედმეტი იყო და დიურანმა ასაღები აიღო.

სერია ახალი დაწყებულია. "ოკლაჰომამ" პირველი აპერკოტი გაუშვა და "მაიამიმ" დარტყმა ვერ აიცილა.

ერთი თამაშის მოგება სასიამოვნოა და "მაიამიმ" მოსაგების მოგება, გახსნილი თამაშის დახურვა უნდა ისწავლოს. ან სერია "მაიამისთვის" სწრაფად დაიხურება. დიურანი, უესთბრუქი და ჰარდენი გამოცდილი კრიმინალები არიან. ხედავენ, რომ დაჭრილი ხარ და იმ მომენტში თეთრი ზვიგენის ინსტინქტი უფრო მკვლელი ხდება.

ჯეიმსმა 30 ქულა დაირტყა. ნორმალური, ლებრონისთვის ჩვეულებრივი თემაა. რაღაც მომენტში - განსაკუთრებულიც. ჯეიმსი მესამედ გადის სუპერფინალში და პირველად იღებს 30 ქულას. წინა ორი სერია ტექსასის ბანდებთან იყო. ხუთი წლის წინ ჯეიმსის "კლივლენდი" "სან ანტონიომ" და ბრიუს ბოუენმა 4:0 მოჩეხეს. შარშან ჰერ ნოვიცკიმ მოიგო. ის "დალასი" იმ "მაიამიზე" უკეთესი არ იყო. უბრალოდ, ჯეიმსმა უემოციოდ, გაბუტული ბავშვივით ითამაშა.

კევინ დიურანი თურქეთში ვნახე. მსოფლიო ჩემპიონატზე ამერიკამ კევინის ინტელექტით და თინეიჯერული აგრესიით მოიგო. "ოკლაჰომაში" სხვა დიურანია. უკეთესი, უფრო მთქმელი და უკომპლექსო.

ლებრონიც უკომპლექსოა. როგორც ის ცხოველები, Durex-ის სარეკლამო რგოლში რომ ცელქობენ.

კევინი დიურანია. ლებრონი - Durexი. უმნიშვნელო სხვაობაა.

"ოკლაჰომასთან" ბოლო მეოთხედში ლებრონ ჯეიმსმა ვარდისფერი ქოლგა დაიჭირა, ჯოელ ენტონის მიეკრო და კანადელს ზურგი მოპორჭყნა. ლებრონს დედიკოსთან უნდოდა. ლებრონს მოგების მოერიდა, მერე კანკალი დაეწყო და დუეინ უეიდმა ცენტნერიანი ბავშვი ჩაიხუტა, ბრტყელ თავზე ხელი გადაუსვა. ლებრონი დამშვიდდა და პატ რაილის პლედზე მიეძინა. იმ პლედზე მისტერ რაილი თავის ლაბრადორს ასვენებს.

ჯეიმსს დაესიზმრა, რომ ჩემპიონია და ლებრონმა უნდა გაიღვიძოს.

ან რაღაც სერიოზულს გამოტოვებს.

მაიკლ ჯორდანი ბოლო სერიაში არ იღლებოდა. მაიკლი ბოლო სერიას სერიის დაწყებამდე იგებდა. მისტერ ჯორდანი კალათბურთის ჰალკი იყო.

ლარი ბერდი ბოლო სერიას არ იგებდა. ლარი ბოლო სერიის დროს ისვენებდა, დენი ეინჯთან ერთად პოკერს თამაშობდა. ლარი კალათბურთის ინტელექტი იყო.

ლებრონ ჯეიმსი ბოლო სერიის კასპერია. ის ბუნჩულა მოჩვენება დროდადრო ემოციურად შემოდის კადრში და კრისტინა რიჩის პერსონაჟი მთელი არარსებული გულით უყვარს.

კასპერი ლებრონთან შედარებით ჯონ რემბოა.

კასპერები სუპერფინალებს ვერ იგებენ.

შენგელიამ NBA-ს გუნდებს მესიჯი გაუგზავნა

იტალიის ქალაქ ტრევიზოში დასრულდა NBA-ს მიერ ორგანიზებული კემპი, რომელშიც საქართველოს ნაკრების ფორვარდი თორნიკე შენგელიაც მონაწილეობდა და სწორედ ის გახდა ამ კემპის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე.

კემპმა სულ სამ დღეს გასტანა. შენგელიამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

კემპზე გუნდები ჯერ ერთმანეთს ეთამაშებოდნენ, დღის ბოლოს კი ტარდებოდა "ყველა ვარსკვლავის" მატჩი, რომელშიც გამორჩეული კალათბურთელები მონაწილეობდნენ.

პირველ დღეს ქართველი მთლად დამაჯერებლად არ გამოიყურებოდა, თუმცა, შემდეგ დღეებში გაიბრწყინა.

მეორე დღეს თორნიკეს ორი მატჩის გამართვა დასჭირდა. მან "ყველა ვარსკვლავის" მატჩიც ითამაშა, რომელშიც საუკეთესო იყო. მოედანზე 22 წუთი გაატარა და თავის აქტივში 20 ქულა, 9 მოხსნა და 3 პასი ჩაიწერა.

ჭანტურიას "ჯენოას" პრეზიდენტმა დაადგა თვალი

Pianetagenoa და Canalegenoa აქვეყნებენ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც "ჯენოა" გიორგი ჭანტურიათია დაინტერესებული. იტალიელები წერენ, ჭანტურია "ჯენოას" პრეზიდენტის ენრიკო პრეციოზის მორიგი სამიზნეაო.ამასობაში ქართველი ფეხბურთელი აცხადებს, რომ მისით არა მარტო "ჯენოა", არამედ "ინტერი", "ფიორენტინა" და "რომაც" არიან დაინტერესებულნი.

თურქულ პრესაში კი სამიოდე კვირის წინ იყო ინფორმაცია, რომ ჭანტურიას გადაყვანაზე "გალათასარაის" მწვრთნელი ფათიჰ თერიმი ფიქრობს.

ანტონიო კასანო: "ცისფერები ეროვნულ ნაკრებში?"

იტალიის ნაკრების ფორვარდმა ანტონიო კასანომ განაცხადა, რომ არ ისურვებდა ჰომოსექსუალებთან ერთად ერთ გუნდში თამაშს.

"ცისფერები ეროვნულ ნაკრებში? აბა, რა გითხრათ. მე მათთან ერთად თამაში არ მინდა და, იმედია, იტალიის ნაკრებში ისინი არ არიან", - თქვა ანტონიო კასანომ.

იტალიელთა ფორვარდს ჰომოსექსუალებზე საუბარი მას შემდეგ დასჭირდა, რაც გამოცემა "გარდიანის" ჟურნალისტმა ფეხბურთელს ჰკითხა, არიან თუ არა იტალიის ნაკრებში ჰომოსექსუალი ფეხბურთელები. საქმე ის არის, რომ ზოგიერთ ბრიტანულ გამოცემაში დაიწერა, თითქოს იტალიის ნაკრებში ორი ჰომოსექსუალი და ორი მეტროსექსუალი (მამაკაცი, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს საკუთარ ჩაცმულობას და ხშირად დადის საყიდლებზე) ფეხბურთელია.

ახლა გამორიცხული არ არის, რომ სექსუალურ უმცირესობათა დაცვის საზოგადოებებმა ანტონიოს ჰომოფობიაში დასდონ ბრალი, თუმცა, საეჭვოა, რომ ეს კასანოს აღელვებდეს. ის ყოველთვის ამბობს იმას, რასაც ფიქრობს.

ევრო 2012-ის ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელები ერთ გუნდში

ევრო 2012-ის მსვლელობისას არაერთ სიმბოლურ ნაკრებს ვიხილავთ. დღეს კი ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელებისგან შევადგინოთ ერთი გუნდი.

მეკარე: იკერ კასილიასი (ესპანეთი), ფასი: 35 მილიონი ევრო, **ასაკი:** 31, **კლუბი:** "რეალი", **ნაკრებში გამართული მატჩები:** 132

მცველები: ხერარდ პიკე (ესპანეთი), ფასი: 38 მილიონი ევრო, **ასაკი:** 25, **კლუბი:** "ბარსელონა", **ნაკრებში გამართული მატჩები (გოლები):** 40 (4)

სერხიო რამოსი (ესპანეთი), ფასი: 34 მილიონი ევრო, **ასაკი:** 26, **კლუბი:** "რეალი", **ნაკრებში გამართული მატჩები (გოლები):** 87 (6)

პეპე (პორტუგალია), ფასი: 28 მილიონი ევრო, **ასაკი:** 29, **კლუბი:** "რეალი", **ნაკრებში გამართული მატჩები (გოლები):** 40 (2)

ფილიპ ლამი (გერმანია), ფასი: 28 მილიონი ევრო, **ასაკი:** 28, **კლუბი:** "ბაიერნი", **ნაკრებში გამართული მატჩები (გოლები):** 87 (4)

დაცვის ცენტრში ითამაშებენ პეპე და პიკე, მარცხენა ფლანგზე - ლამი, მარჯვნივ კი - სერხიო რამოსი

ნახევარდაცვა: ანდრეს ინიესტა (ესპანეთი), ფასი: 65 მილიონი ევრო, **ასაკი:** 28, **კლუბი:** "ბარსელონა", **ნაკრებში გამართული მატჩები (გოლები):** 66 (10)

სესკ ფაბრეგასი (ესპანეთი), ფასი: 55 მილიონი ევრო, **ასაკი:** 25, **კლუბი:** "ბარსელონა", **ნაკრებში გამართული მატჩები (გოლები):** 64 (9)

დავიდ სილვა (ესპანეთი), ფასი: 46 მილიონი ევრო, **ასაკი:** 26, **კლუბი:** "სიტი", ნაკრებში გამართული მატჩები (გოლები): 59 (16)

ნახევარდაცვის ცენტრში ფაბრეგასი იქნება, მის მარცხნივ - ინიესტა, მარჯვნივ კი - სილვა

თავდამსხმელები: კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია), ფასი: 90 მილიონი ევრო, **ასაკი:** 27, **კლუბი:** "რეალი", **ნაკრებში გამართული მატჩები (გოლები):** 91 (32)

უეინ რუნი (ინგლისი), ფასი: 65 მილიონი ევრო, **ასაკი:** 26, **კლუბი:** "მანჩესტერი", **ნაკრებში გამართული მატჩები (გოლები):** 74 (28)

რობინ ვან პერსი (ჰოლანდია), ფასი: 45 მილიონი ევრო, **ასაკი:** 28, **კლუბი:** "არსენალი", **ნაკრებში გამართული მატჩები (გოლები):** 66 (28)

ცენტრფორვარდი რუნი იქნება, ოდნავ მარცხნივ - რონალდუ, მარჯვნივ კი - ვან პერსი

რუს ხულიგნებს პოლონეთიდან დეპორტაცია და შავი სია ემუქრებათ

პირველი გვერდიდან

პოლნეთის პოლიციაში ადასტურებენ, რომ შეტაკებების პროვოცირება "პოლონელმა ფსევდოგულშემატკივრებმა" - ხულიგნებმა მოაწყვეს. სულ დაკავებულია არეულობაში მონაწილე 200-მდე ადამიანი, რომელთა შორის 25 რუსეთის, 3 კი ესპანეთის, უნგრეთისა და ალჟირის მოქალაქეა. დაშავებულთა შორისაა 140 ადამიანი. ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათგან 131 იმავე დღეს გაწერეს. რვა პოლონელი და, სავარაუდოდ, ერთი გერმანელი ახლაც სტაციონარშია. დაშავებულია დაახლოებით ათი პოლიციელი.

ვარშავის პოლიციის პრესმდივნის მაცეი კარჩინსკის ცნობით, 33 ადამიანი გამოსაფხიზლებელში გადაიყვანეს.

არეულობის შემდეგ ვარშავის დასუფთავების სამსახურმა ქუჩიდან 41 ტონა ნაგავი გაიტანა, ფანზონებიდან კი - ცხრა.

პოლონეთში რუსეთის ელჩის ვოიცეხ ზაიონჩკოვსკის განმარტებით, ინფორმაცია არეულობაში მონაწილეთა რაოდენობაზე რეალობას არ შეეფერება: "რუსული საინფორმაციო საშუალებები იტყობინებოდნენ, რომ არეულობაში ათასობით ადამიანი მონაწილეობდა. როგორც ჩანს, ვიღაცამ რაოდენობას ნული მიუმატა. ხულიგანთა ყველაზე დიდი ჯგუფი, რომელიც გამოავლინა ჩვენმა პოლიციამ, დაახლოებით 200-კაციანი იყო".

დღეს გავრცელებული ინფორმაციით კი ირკვევა, რომ ჩხუბში მონაწილე რუსებს პოლონეთიდან დეპორტაცია და შავ სიაში შეყვანა ემუქრებათ, რაც, თავის მხრივ, თითოეულ მათგანს ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლას უკრძალავს.

"უცხოელებთან დაკავშირებით მიმდინარეობს დაჩქარებული სასამართლო პროცედურა, რაც იმას ნიშნავს, რომ განაჩენს ორი დღის განმავლობაში გამოიტანენ. ასე რომ, პარასკევამდე ყველაფერი გაირკვევა, - ოთხშაბათს მოწყობილ საგანგებო პრესკონფერენციაზე თქვა პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა იაცეკ ჩიხოცკიმ. - გვინდა, რომ გადაწყვეტილების შემდეგ ხულიგნები დეპორტირებული იყვნენ ქვეყნიდან, ხოლო მათი მონაცემები შენგენის ვიზათა ბაზაში შევიტანოთ - ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვით. ამჟამად არეულობაში მონაწილე სხვა ხულიგანთა გამოსავლენად მიმდინარეობს დამატებითი სამუშაოები".

პოლონეთის შსს-ის ხელმძღვანელის განცხადებით, ეს იყო ევროპის ჩემპიონატის ყველაზე მძიმე დღე, მაგრამ პოლონეთის სამსახურებმა გამოცდა ჩააბარეს.

რუსეთში პოლონეთის ელჩი ვოიცეხ ზაიონჩკოვსკი პოლონეთში საგანგებოდ ევრო 2012-ზე წესრიგის დასამყარებლად ჩასულ რუს პოლიციელთა მუშაობას აღნიშნავს: "დადებითად უნდა შეფასდეს რუსეთის ნაკრების, მათი მწვრთნელის, მოთამაშეთა და გულშემატკივართა ერთგვარი ჟესტი, რომელიც 2010 წლის ავიაკატასტროფის მსხვერპლთა ხსოვნას მიეძღვნა. საჭიროა ამაზე გამახვილდეს ყურადღება და არა იმ ინციდენტებზე, რაც კარგად ყიდის ინფორმაციას და ბოლომდე არ ასახავს სინამდვილეს".

ვარელა და სუპერ-მარიო

მარიო გომესის პირველი გოლი

სილვესტრე ვარელას ჯერ კიდევ პირველ ტურში, გერმანიასთან მატჩში შეეძლო პორტუგალიელთა გმირი გამხდარიყო, როცა შეცვლაზე შესულმა ბოლო წუთებზე ხელსაყრელ სიტუაციაში მანუელ ნოიერს ვერ აჯობა და თავისიანები მარცხისგან ვერ იხსნა. პორტუგალიელთა თავკაცმა პაულუ ბენტუმ დანიასთან შეხვედრაშიც მისცა შანსი ვარელას და "პორტუს" 27 წლის ფორვარდმა ამჯერად ბენტუ, მთელი პორტუაგალია და ამ ნაკრების ქომაგები გაახარა - მოედანზე შესვლიდან სამ წუთში აუღებელი დაურტყა დანიელთა მეკარეს და თავისიანებს ევრო 2012-ზე პირველი გამარჯვება და ჯგუფიდან გასვლის შანსი შეუნარჩუნა. ამ დროს ანგარიში 2:2 იყო, შეხვედრის დასრულებამდე კი რამდენიმე წუთი რჩებოდა.

არადა, პირველი ტაიმის 36-ე წუთზე ცოტა თუ იფიქრებდა, რომ ამ თამაშს ასეთი დრამატული დასასრული ექნებოდა. 36-ე წუთზე პორტუგალიელებმა მეორე გოლი გაუტანეს დანიას და, როგორც იტყვიან, "საქმე გაკეთებულად" ჩათვალეს. მეორედ მორტენ ოლსენის გუნდის კარის ბადე ნანის ფლანგიდან ჩაწოდების შემდეგ ელდერ პოშტიგამ შეარხია, მანამდე კი თავი პეპემ გამოიჩინა - "რეალისა" და პორტუგალიის ნაკრების ცენტრალურმა მცველმა ნაკუთხურალ ბურთს ისეთი უთავაზა, სტეფენ ანდერსენს შანსი არ დაუტოვა.

პორტუგალიელთა ასეთი გალაღება იმასაც უნდა მივაწეროთ, რომ მე-16 წუთზე მორტენ ოლსენს იძულებითი ცვლილების განხორციელება მოუხდა - ტრავმის გამო მოედანი დანიელთა საკვანძო მოთამაშემ, საყრდენმა ნახევარმცველმა ნიკი ზიმლინგმა დატოვა.

მაგრამ ორბურთიანი ჩამორჩენის მიუხედავად სკანდინავიელებს ყურები არ ჩამოუყრიათ, მეტიც, უფრო გულმოდგინედ მოეკიდნენ საქმეს და პირველი ტაიმის მიწურულს მატჩს ინტრიგა დაუბრუნეს - "ინტრიგანი", რა თქმა უნდა, ნიკლას ბენტნერი იყო.

დანიელებს ვერც ბენტნერი და ვერაფერიც ვერ უშველიდათ, მეორე ტაიმის საწყის წუთებში მეტოქის ვარსკვლავკაპიტან კრიშტიანუ რონალდუს "სასწაულები" რომ არ მოეხდინა - ჯერ იყო და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა კარს ააცილა, მერე კი, ხელს რომ არავინ უშლიდა და დანიელთა კარიც თითქმის ცარიელი იყო, სად დაარტყა, ალბათ ახლაც არ იცის.

სამაგიეროდ, არ ისვენებდნენ ოლსენის შეგირდები, მწყობრად და დალაგებულად უტევდნენ და თამაშის დასრულებამდა ათი წუთით ადრე ნიკლას ბენტნერმა ერთხელაც გაიბრწყინა - მიკაელ კრონ-დელის ჩაწოდებულ ბურთს ისე შეაგება თავი, ნახტომში გაჭიმულ რუი პატრისიუმ ბურთი საკუთარი ზურგის უკან კარში იხილა...

ფრე პორტუგალიისთვის, ფაქტობრივად, ჯგუფში ჩარჩენას ნიშნავდა, ჰოლანდიის მომგები დანიელთათვის კი შემდეგ ეტაპზე გასვლას, მაგრამ ვარელამ...

84-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა მოგებამოწყურებულმა პორტუგალიელებმა გაიბრძოლეს, დანიელთა კარს ძალუმად მიეძალნენ, მათ საჯარიმოში ბურთი ჩააწოდეს და მცველთა შეუთანხმებლობით ვარელამ პორტუგალიას ნანატრი გამარჯვება მოუტანა.

"მატჩი რომ ფრედ დასრულებულიყო, უსამართლო შედეგი იქნებოდა - განაცხადა ნამატჩევს პაულუ ბენტუმ - პირველი ტაიმი 2:0 უნდა მოგვეგო, დანიელებმა მხოლოდ ერთი მომენტი შექმნეს და ისიც გამოიყენეს. თუ შეამჩნიეთ, ჩვენ არ ვცდილობდით ანგარიშის შენარჩუნებას, პირიქით, მესამე გოლოს გატანა გვსურდა. ბოლო წუთებში ხასიათი გამოვავლინეთ და დამსახურებული სამი ქულა მოვიპოვეთ" - ასე შეაფასა შეხვედრა პორტუგალელთა თავკაცმა.

თავისი შეგირდების თამაშით კმაყოფილი დარჩა მორტენ ოლსენი: "მე ამაყი ვიყავი ჰოლანდიასთან შეხვედრის შემდეგ და, მიუხედავად მარცხისა, ამაყი ვარ დღესაც. მეორე ტაიმში მეტოქეზე უკეთ გამოვიყურებოდით და ანგარიშის გათანაბრებაც მოვახერხეთ. ბოლოს არ გაგვიმართლა და, თუმცა დაკარგული არაფერია, წინ გერმანიასთან შეხვედრა გველის და ევროპის ჩემპიონატის ფავორიტებთან ბოლომდე ვიბრძოლებთ".

პეპეს საგოლე თავური

გერმანია რომ მართლაც ერთ-ერთი უპირობო ფავორიტია, ეს გუშინაც დაამტკიცა, თან ვისთან?! მარცხ და სირცხვილნაჭამ ჰოლანდიასთან. დანიასთან პირველ ტურში წაგების შემდეგ ჰოლანდიელთა ბანაკში სიტუაცია აირია, მედიამ მთავარ მწვრთნელ ბერტ ვან მარვიიკს არჩევანი დაუწუნა, არც მოთამაშეთა შორის ყოფილა კარგი ურთიერთობა. ბევრი სათადარიგოთა სკამზე ჯდომას ვერ ეგუებოდა, მაგრამ გერმანიასთან "ნარინჯისფერთა" თავკაცმა შემადგენლობა არ შეცვალა - კვლავ რობინ ვან პერსის ანდო ცენტფორვარდის ადგილი, ფლანგებიდან კი არიენ რობენი და აფელაი დაახმარა, მაგრამ გამართულ გერმანულ მანქანას ვერაფერი დააკლო - ლიოვის გუნდი მშვიდად გაუმკლავდა პირველ წუთებში ჰოლანდიელთა იერიშებს და თავის შანსს ელოდებოდა. ასეთი შანსი კი მიეცათ თუ არა, გოლიც ვიხილეთ - ბასტიან შვაინშტაინგერის გამოზომილი პასით მარიო გომესი საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩა და "ბაირნის" ფორვარდმაც პირველად აახმიანა გერმანელი ქომაგები. მალევე შვაიშტაინგერ-გომესის დუეტმა მეორედ დაადუმა ჰოლანდიელი ფანები.

მეორე ტაიმში ვან მარვიიკმა კლას-იან ჰუნტელაარი, ვან ვაარტი და ბოლოს დირკ კუიტიც შეუშვა მოედანზე, ერთდერთი რაც მისმა შეგირდებმა, კერძოდ კი ვან პერსი მოახერხა, 73-ე წუთზე გატანილი გოლი იყო.

ჰოლანდიამ ჯგუფში მეორე თამაში წააგო, თუმც შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს მაინც ინარჩუნებს, ეს შანსი პორტუგალიასთან უნდა ეძებოს, ანუ პორტუგალიელთა დამარცხებით უნდა მოიპოვოს, მაგრამ ამ ჯგუფში ისე ჩაიხლართა სატურნირო ვითარება, ამაზე ლაპარაკი სჯობს ხვალისთვის გადავდოთ.

B ჯგუფი. ლვოვი.

დანია - პორტუგალია 2:3

გოლები: 0:1 პეპე (24), 0:2 პოშტიგა (36), 1:2 ბენტნერი (41), 2:2 ბენტნერი (80) 2:3 ვარელა (87)

ხარკოვი.

ჰოლანდია - გერმანია 0:2

გოლები: 0:1 გომესი (24), 0:2 გომესი (38), 1:2 ვან პერსი (73)